პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ.პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.
ხუთშაბათი,
6
ივნისი
1935 წ.
№ 131 (4287)

დღეს ნომერში

— აბრეშუმის პარკის დამზადება იწყება (მეთაური).
— საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის დადგენილება ცეკავშირის საანგარიშო მოხსენების გამო.
— საქართველოში აზერბაიჯანის პოეტების ჩამოსვლის წინ. (მე-3 გვ.).
— თურქეთის რესპუბლიკის ელჩის ბ-ნ ვასიფ ჩინარის ცხედრის გაცილება. (მე-2 გვ.).
— გარდაიცვალა ალექსანდრე სამოილის ძე მარტინოვი.
— გადადგა ბუისონის მთავრობა.
— საუბარი ლავალსა და ამხ. პოტიომკინს შორის.
— ინგლისის ახალი მთავრობის შემადგენლობა.
— ჩეხოსლოვაკიის ახალი მთავრობა.
— ერთიანი ფრონტის წარმატება [illegible]

აბრეშუმის პარკის დამზადება იწყება

თუ გადავხედავთ აბრეშუმის პარკის დამზადების დინამიკას წლების მიხედვით, დავინახავთ, რომ სახელმწიფოებრივი დავალებები ამ დარგში სისტემატურად არ სრულდება. 1931 და 1932 წლებში პარკის დამზადების გეგმა სანახევროდაც არ იყო შესრულებული: 1933 წელს გეგმა შესრულდა 72,2 პროცენტით, გასულ წელს კი 80,2 პროცენტით.

როგორც ამ ცნობებიდან ჩანს, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში აბრეშუმის პარკის დამზადებას მნიშვნელოვანი გაუმჯობესება დაეტყო, მაგრამ სახელმწიფოებრივი დავალების მთლიანად შესრულება დღემდე მაინც ვერ იქნა მიღწეული.

უკანასკნელ წლების განმავლობაში პარტიამ და ხელისუფლებამ მიიღეს გადამჭრელი ზომები სარეწველო მეაბრეშუმეობისათვის მტკიცე ბაზის შესაქმნელად. პირველად წელს ჩვენი მეაბრეშუმეების მოთხოვნილება მთლიანად იქნა დაკმაყოფილებული ადგილობრივ დამზადებული საუკეთესო ხარისხის თესლით. ჩვენს საგრენაჟო ქარხნებში დამზადებული და საინკუბაციო სადგურებში გატარებული თესლი რომ ხარისხის მიხედვით საუკეთესო იყო, ამას ადასტურებს აბრეშუმის ჭიის მდგომარეობა. პარკის ახვევა უკვე მასობრივად არის დაწყებული და ჯერ თითქმის არცერთ რაიონიდან არ ყოფილა ცნობა ჭიის ცოტად თუ ბევრად სერიოზულად დაავადების შესახებ.

გარდა ამისა მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული ჭიის საკვებით მომარაგების და აგრომომსახურეობის საქმე. ძველი პლანტაციების დაცვის გაუმჯობესებასთან ერთად, გაძლიერებული მუშაობა წარმოებს თუთის ახალი პლანტაციების გასაშენებლად. მთელ რიგ რაიონებში ახლად გაშენებულ თუთის ხეები წელს უკვე იძლეოდა საკვებს ჭიისათვის.

გარდა ამისა ძალაში დატოვებულია კონტრაქტანტების აბრეშუმის ქსოვილით დასაჩუქრების წესი, გამოყოფილია საგრძნობი თანხა მოწინავე მეაბრეშუმეების დასაჯილდოებლად და გასულ წელთან შედარებით 20 პროცენტზე მეტით გადიდებულია პარკის დასამზადებელი ფასები.

ყოველივე ეს ქმნის იმის სრულ შესაძლებლობას, რომ **პარკის დამზადების სახელმწიფოებრივი გეგმა 2500 ტონას რაოდენობით წელს შესრულებული იქნას ვადაზე და მთლიანად.**

მაგრამ ეს იმას სრულიადაც არ ნიშნავს თითქოს პარკის დამზადების გეგმა შესრულდება თვითდინებით, სათანადო მოსამზადებელი და მასობრივ - პოლიტიკური მუშაობის გარეშე.

დღემდე ზოგიერთი რაიონის და სოფლის ორგანიზაციები თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევდენ არც ჭიის გამოკვებას და არც პარკის დამზადებას. ამიტომ იყო მაგალითად, რომ გასულ წელს ქუთაისის, წალენჯიხის, ზესტაფონის და ხობის რაიონებმა სანახევროდ ძლივს შეასრულეს პარკის დამზადების გეგმა. მოხდა ეს იმიტომ, რომ დასახელებულ რაიონებში მეაბრეშუმეობის განვითარებას მხოლოდ „რაიაბრეშუმის" რწმუნებულის მოვალეობად თვლიდენ, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები კი მას არ ეკიდებოდენ საჭირო სერიოზულობით.

ახლავე უნდა გაჩაღდეს მასობრივ - პოლიტიკური მუშაობა პარკის დამზადების ირგვლივ. კონტრაქტანტ - მეაბრეშუმეებს ამომწურავად უნდა განვმარტოთ პარკის ჩაბარების პირობები, ვადები და ის, თუ რას მიიღებენ ისინი ჩაბარებულ პროდუქციაში.

ბევრი რამ არის დამოკიდებული აბრეშუმის პარკის **მიმღები პუნქტების** მოქნილი მუშაობისაგან. თავდაპირველად ეს პუნქტები უზრუნველყოფილი უნდა იქნან საქმის მცოდნე, პოლიტიკურად სანდო და კულტურული **კადრებით**, რომლებიც უზრუნველყოფენ მეაბრეშუმეთა წესიერ მომსახურეობას და მათთან ანგარიშის დროულად გასწორებას.

ჩვენ განსაკუთრებით ხაზს ვუსვამთ მეაბრეშუმეებთან ანგარიშის გასწორების მოწესრიგებას. ხელმძღვანელ ორგანოების დირექტივებით, წელს მეაბრეშუმემ პარკის ჩაბარებისთანავე უნდა მიიღოს კუთვნილი ქსოვილი და ფული. „რაიაბრეშუმებმა" და პარკის მიმღებმა პუნქტებმა უნდა უზრუნველჰყონ ამ დირექტივების უთუოდ გატარება.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს პარკის **სახმობი ფარდულების** და იმ სპეციალისტთა პერსონალის დროულად მომზადებას, რომლებმაც უნდა უხელმძღვანელონ პარკის დახარისხებას, მიღებას, შენახვას და გახმობას. ამ საქმის სწორად დაყენებამ უნდა უზრუნველყოს პარკის ისე შენახვა, და მოვლა, რომ შესაძლებელი იქნეს მთელი დამზადებული პროდუქციის უკლებლად გადაცემა წარმოებისათვის.

მახარაძის და ლანჩხუთის ზოგიერთი მოწინავე კოლმეურნეობათა გამგეობები უკვე შეუდგენ ზრუნვას იმისათვის, რომ თავიანთ მეაბრეშუმეებს მიაწოდონ ტრანსპორტი და ტარა პარკის გადასაზიდად მიმღებ პუნქტამდე, ეს ძალიან კარგი ინიციატივაა. საჭიროა ამ კოლმეურნეობებს მიბაძონ სხვებმაც და ამით ხელი შეუწყონ პარკის დამზადების სახელმწიფოებრივი გეგმის ვადაზე შესრულებას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ შეღავათებისა და უპირატესობების პოპულარიზაციას, რომელიც მეაბრეშუმეებს ეძლევათ პარკის ჩაბარების გეგმის **გადაჭარბებით** შესრულებისათვის. გადამჭრელი წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს კლასობრივი მტრების და ყველა ჯურის ანტისახელმწიფოებრივი ელემენტების (ცდებს—თავი არიდონ პარკის ჩაბარების დავალებათა შესრულებას. პარკის დამზადება უნდა წარმოებდეს ლოზუნგით — **აბრეშუმის პარკი მთელი მოსავალი სახელმწიფოს!**

დაახლოებით 8—10 დღის შემდეგ დაიწყება აბრეშუმის პარკის მასობრივი დამზადება. დარჩენილი დღეების განმავლობაში ჩვენ უნდა მოვასწროთ ყველა იმ ტექნიკურ-ორგანიზაციული საკითხების სავსებით მოგვარება, რაც საჭიროა პარკის დამზადების შეუფერხებლად გაშლისათვის.

არ უნდა დარჩეს არც ერთი მეაბრეშუმე, რომელიც პირნათლად არ მოიხდის თავის ვალდებულებას სახელმწიფოს წინაშე.

არ უნდა დარჩეს არც ერთი რაიონი, რომელიც წელს სავსებით არ შეასრულებს პარკის დამზადების გეგმას.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მწუხარებით იუწყება, რომ ა.-წ. 6 ივნისს, გარდაიცვალა მეფის რუსეთში რევოლუციური მოძრაობის ერთერთი უძველესი მონაწილე

ალექსანდრე სამოილის ძე მარტინოვი
(პიკერი)

გენერალი ფაიფრი საბჭოთა ავიაციის შესახებ

მოსკოვი, 4 ივნისი. მოსკოვში ამჟამად იმყოფება ჩეხო-სლოვაკიის სამხედრო საავიაციო დელეგაცია, რომლის ხელმძღვანელმა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საჰაერო ძალთა უფროსმა გენერალმა ფაიფრმა 4 ივნისს მიიღო საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელი. საკ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს გენერალმა ფაიფრმა განაცხადა:

„ჩვენი დელეგაციის ამოცანას წარმოადგენდა მეგობრული ურთიერთობის განმტკიცება საბჭოთა კავშირის და ჩეხოსლოვაკიის სამხედრო საჰაერო ფლოტებს შორის და პირადი კონტაქტის დამყარება საბჭოთა ავიაციის ხელმძღვანელებთან

ეს ამოცანა ჩვენ მთლიანად შევასრულეთ. ჩვენ მოხარული ვიქნებით გავაცნოთ ჩვენს სამშობლოს საბჭოთა ავიაციის ის წარმატებანი, რომელთა შესახებაც ჩვენ წინათაც გვსმენია და რომლებშიაც ახლა თვალნათლივ დავრწმუნდით.

ჩვენ განცვიფრებაში მოგვიყვანა ამ შესანიშნავმა მიღწევებმა როგორც ტექნიკის დარგში, ისე საფრენოსნო კადრების მომზადების დარგში. ჩვენზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა პილოტების ბრწყინვალე ოსტატობამ, სიმამაცემ და გმირობამ, მათმა შეთანხმებულმა ფრენამ და გაწრთვნამ.

როცა აეროდრომზე გადაიფრინა ჟუკოვსკის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის ესკადრილიამ რომელიც ხუთქიმიანი ვარსკვლავის სახით იყო დაწყობილი. მე და ჩვენი დელეგაციის ყველა წევრი აღტაცებული ვიყავით მფრინავთა შესანიშნავი ოსტატობით.

ჩვენ ვხედავთ, რომ საბჭოთა კავშირი დიდ ძალებს ახმარს ახალი თვითმფრინავების კონსტრუირებას, არავითარ სახსრებს არ ზოგავს ამ სამუშაოსათვის, და საქმისადმი ასეთი დამოკიდებულების შედეგად მას აქვს პირველხარისხოვანი ავიაცია—დიდი მასშტაბების ავიაცია.

საბჭოთა ყველა ხელმძღვანელმა მუშაკმა, რომლებთანაც ჩვენ მოგვიხდა შეხვედრა, ჩვენზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა, ისინი ღირსნი არიან იმ დიადი ამოცანების, რომლებიც დასახულია მათ წინაშე.

მე ვფიქრობ, რომ საჰაერო თავდაცვისათვის სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს თვითმფრინავთა კარგი ტიპები და მრეწველობა, რომელსაც შეეძლება კარგად და სწრაფად ააგოს ეს თვითმფრინავები. ჩვენ ვნახეთ საბჭოთა თვითმფრინავების მშვენიერი ნიმუშები, ვნახეთ საუცხოოდ მოწყობილი ქარხნებიც, რომლებიც ამ თვითმფრინავებს აშენებენ, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა კავშირში, რომელსაც ასეთი მძლავრი ავიაცია აქვს, მოქალაქეებს დამშვიდებით შეუძლიათ დაიძინონ.

ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა ახალგაზრდობის განსაცვიფრებელმა ლტოლვამ ავიაციისაკენ. ასეთი აღფრთოვანებული დამოკიდებულება ავიაციისადმი, ასეთი ენტუზიაზმი საფრენოსნო საქმის დარგში არც ერთ ქვეყანაში არ არის. მე კარგად ვიცნობ საავიაციო საქმის დაყენებას გერმანიაში, ინგლისში, იტალიაში და საფრანგეთში და, ჩემის აზრით, არც ერთ ქვეყანას არა ჰყავს ამდენი ახალგაზრდობა, რომლებიც მიისწრაფოდეს ავიაციის დარგში სამუშაოდ.

საბჭოთა კავშირში, როგორც ჩვენ დავრწმუნდით, განსაკუთრებით კარგად არის დაყენებული ახალგაზრდობის ფიზკულტურული მომზადება.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ჩვენს ხალხს გავაცნობ აგრეთვე საბჭოთა კავშირის მშენებლობის კოლოსალურ გეგმებს, იმ გიგანტურ სამუშაოებს, რომლებიც წარმოებს ვოლგა-მოსკოვის არხის გასაყვანად, იმ მაღალ კულტურას, რომელზედაც ჩვენ შეგვეძლო წარმოდგენა გვქონოდა ორი წარმოდგენის—„ევგენი ონეგინის" და „სადკოს" მიხედვით. ეს საუცხოო დადგმებია, რომელთა მსგავსი მე არ მინახავს ევროპაში არც ერთ თეატრში (ტას).

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის დადგენილება
ცეკავშირის საანგარიშო მოხსენების გამო

ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ სამომხმარებლო კოოპერაციამ საქ. კ.პ. (ბ) მე-17 ყრილობის, საქ. კ.პ. (ბ) მე-9 ყრილობის და საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხ. კომიტეტის მე-2 პლენუმის დადგენილებათა განსახორციელებლად უკანასკნელ წელს ზოგიერთ წარმატებებს მიაღწია კულტურული საბჭოთა ვაჭრობის გაშლაში.

საცალო საქონელბრუნვის 1934 წლის გეგმა 256,5 მილიონი მანეთის რაოდენობით შესრულებულია 257,5 მილიონ მან., ე. ი. 100,8 პროცენტით, სოფლად გეგმის შესრულებას კი დააკლდა 5,2 პროც.

1934 წლის განმავლობაში რაიონებსა და სოფლებში მოეწყო რთული ასორტიმენტის 72 მაღაზია და 20 კულტმაღაზია, რომელთა უმრავლესობამ გვიჩვენა კულტურული საბჭოთა ვაჭრობის განხორციელების ნიმუშები.

შესრულდა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის დამზადების ყველა გეგმა, როგორც ცენტრალიზებული, ისე დეცენტრალიზებული. მათ შორის ვადამდე შესრულდა პურის შესყიდვის გეგმა. მიღწეულია საქონელბრუნვის ხარჯების ეკონომია, გადაჭარბებით შესრულებულია ფულადი რესურსების მობილიზაციის გეგმა.

თავისი მუშაობის გარდაქმნისა და ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარების შედეგად 1934 წელი კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს: მახარაძის სახელობის რაიონმა, ხონის რაიონმა, აჭარკოოპკავშირმა, ლუქსემბურგის, შიათურის, კასპის და სიღნაღის რაისამომხმარებლო კავშირებმა, ქუთაისის საქალაქო სამომხმარებლო საზოგადოებამ და სხვ.

ამავე დროს, მთლიანად სისტემის საქმიანობა 1934 წელს დამთავრდა 2.560 ათასი მანეთის ზარალით. მაშინ, როცა დამზადებისა და საწარმოო საქმიანობისაგან მიღებულია 1688 ათასი მანეთის მოგება, ვაჭრობის დარგში ზარალი უდრის 2.095 ათას მანეთს, საზკვების—1.183 ათას მანეთს, სასოფლო - სამეურნეო საწარმოების ხაზით — 958 ათას მანეთს, პურის ცხობისა 11 ათას მანეთს, ხოლო სულ 4.248 ათას მანეთს.

ყველაზე უფრო სამარცხვინო ფაქტს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობაში წარმოადგენს გაფლანგვების და მტაცებლების უზარმაზარი თანხა, რომელიც 1934 წელს 2.302 ათას მანეთს აღწევს და დანაკლისი — 1802 ათასი მანეთის რაოდენობით.

გეგმის გარეშე კაპიტალურ მშენებლობაში დაბანდებულია 3,9 ათასი მანეთი. საკუთარი სახსრები დაბანდებულია ბრუნვის გარეშე ღირებულებებში. ნორმალურ დეკრედიტებისათვის საკუთარი სახსრების დანაკლისი უდრის 13,5 მილიონ მანეთს.

დამაკმაყოფილებელი ვერაა აგრეთვე ცეკავშირის სამეურნეო საქმიანობა 1935 წლის 1 კვარტალის განმავლობაში: საქონელბრუნვის გეგმა შესრულებულია 88.5 პროცენტით.

52 რაისამომხმარებლო კავშირის, 385 სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოების და 41 საქალაქო სამომხმარებლო საზოგადოების საერთო რიცხვიდან 1934 წელიწადი ზარალით დაამთავრა: 28 რაისამომხმარებლო საზოგადოებამ, 188 სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებამ და 18 საქალაქო სამომხმარებლო საზოგადოებამ. განსაკუთრებით სამარცხვინოდ დაამთავრეს თავისი საქმიანობა 1934 წელს: ტფილისის რაისამომხმარებლო საზოგადოებამ ზარალი 203 ათასი მანეთი, გაფლანგვა და დანაკლისი — 261 ათასი მანეთი, საგარეჯოს რაისამომხმარებლო საზოგადოებამ 299 და 66 ათასი მანეთი (შესაბამისად), დუშეთის რაისამომხმარებლო საზოგადოებამ — 190 და 121 ათასი მანეთი, სამტრედიისამ— 507 და 26 ათასი მანეთი, ხაშურისამ — 360 და 89 ათასი მანეთი, წალენჯიხისამ — 235 და 63 ათასი მანეთი, გურჯაანისამ — 226 და 41 ათასი მანეთი.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმი თვლის, რომ სამომხმარებლო კოოპერაციის ასეთი არადამაკმაყოფილებელი ფინანსიური მდგომარეობის, მისი ძირითადი რგოლების და მუშაობის დარგების ზარალიანობის, გაფლანგვების, მტაცებლობის და მისი კადრების დენადობის ძირითად მიზეზებს წარმოადგენს:

1 როგორც ცენტრალური აპარატის, ისე პერიფერიის ბევრი კოოპერატიული მუშაკის უუნარობა და სურვილის უქონლობა გარდაქმნან ახლებურად მუშაობა გაშლილი საბჭ. ვაჭრობის პირობებში; ცენტრალური აპარატის მოუქნელობა და არაოპერატიულობა ძირეული აპარატის ხელმძღვანელობის საქმეში, —რენტაბელობისათვის, სამეურნეო ანგარიშისთვის, მშრომელი მოსახლეობის—მეპაების და სახელმწიფოს მიერ კოოპერაციაში დაბანდებული ყოველი კაპეიკისთვის ბრძოლის გაუწევლობა, მთელ რიგ რგოლებში, მათ შორის ცენტრალურ აპარატშიაც მავნე, სხვის ხარჯზე ყოფნის განწყობილებათა არსებობა („სულერთია, სახელმწიფო მაინც დაგვეხმარებაო", აქედან თვითდინება მუშაობაში და ფინანსიური დისციპლინის, ზარალისათვის პასუხისმგებლობის უქონლობა, მტაცებლობისა და გაფლანგვების წინააღმდეგ ბრძოლის გაუწევლობა. და გეგმების შესრულების საშუალო ციფრების გამოკიდება.

2 როგორც თვით სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობა, ისე მისი მუშაკები ჯერ კიდევ არ წარმოადგენენ ყურადღების, დახმარების და მზრუნველობის ობიექტს. ბევრი რაიონული პარტიული და საბჭოთა, აგრეთვე მთელი რიგი ცენტრალური ორგანიზაციების მხრით (საქართველოს შინავაჭრობის სახალხო კომისარიატი, დამზადებათა კომიტეტი და სხვ.) ჯერ კიდევ ადგილი აქვს ცალკე კოოპერატივებისთვის სახსრების პირდაპირ და არაპირდაპირ ჩამორთმევის სამარცხვინო მოვლენას, მისი კადრების განიავებას, მათ ხშირ ცვალებადობას და მობილიზაციის სხვა სამუშაოებისათვის, სისტემის დანაგვიანებას ჟულიკური, ქურდბაცაცური და მევახშური ელემენტებით; კომუნისტების და კომკავშირელთა უმნიშვნელო ფენა განსაკუთრებით ძირეულ რგოლში და პარტმასობრივი მუშაობის სუსტად დაყენება რაიკავშირებში, სავაჭრო წერტებსა და განსაკუთრებით სოფლის კოოპერატივებში.

3 კადრების მომზადების და გადამზადების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა: გადამწყვეტ რგოლში მაღაზიაში, საწყობში, სასოფლო დუქანში გამოცდილი, საქონლის და ფასების მცოდნე გამყიდველების და საანგარიშო დარგის მუშაკების უქონლობა და სასოფლო კოოპერატივების ინსტრუქტაჟის არადამაკმაყოფილებლად დაყენება.

4 დამახინჯებანი საქონლის თვით შესყიდვის ჩატარების პრაქტიკაში და შესყიდული საქონლის ღირებულების გასტუმრებაში, რაც იწვევს ძნელ გასასაღებელი საქონლის ჩაწოლას (პირველი მაისისათვის სისტემაში ირიცხება 15 მილიონი მანეთის ზესალიმიტური ნაშთები, აქედან დაახლოებით 5 მილიონი მანეთის ძნელ გასასაღებელი საქონელია); მტკიცე სახელშეკრულებო ურთიერთობის უქონლობა დამზადების ოპერაციების ხაზით ცეკავშირის ცენტრალურ გაერთიანებებსა და ძირეულ აპარატს შორის.

5 სარევიზიო კომისიების და სადუქნო კომისიების უმოქმედობა, სამომხმარებლო სისტემის ფართო მასების და მეპაეთა კონტროლის სუსტი ორგანიზაცია და მთელ რიგ შემთხვევებში არჩევითი წესის და მეპაეთა წინაშე კოოპერატივების გამგეობათა ანგარიშების ელემენტარული პრინციპების დარღვევა.

6 მეტისმეტად დიდი სატრანსპორტო ხარჯები, განსაკუთრებით მთიან და შორეულ რაიონებში; ვაჭრობაზე გაწეულ 42,4 მილ. მან. ხარჯებიდან, ტრანსპორტის ხარჯები შეადგენდა 12,4 მილიონს ანუ 28 პროცენტს, რამაც გაადიდა ზარალი.

იმ მიზნით, რომ გაჯანსაღებულ და განმტკიცებულ იქნას ცეკავშირის სისტემის ორგანიზაციულ-სამეურნეო საქმიანობა და სწრაფად მოხდეს აღნიშნული ნაკლოვანებების ლიკვიდაცია, საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ადგენს:

1 ცეკავშირის პრეზიდიუმმა გარდაქმნას სისტემის მთელი საოპერაციო-სამეურნეო მუშაობა. ამასთან ყურადღების ცენტრში მოაქციოს ძირეული რგოლი — სოფლის სამომხმარებლო-საზოგადოება, გააძლიეროს ცოცხალი უშუალო ხელმძღვანელობა და პრაქტიკული დახმარება მის ყოველდღიურ მუშაობაში. უზრუნველჰყოს იმის ნამდვილი კონტროლი, რომ საქონლის ბრუნვის დარგში მიცემული დავალებანი დაყვანილ იქნება არა მარტო სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებამდე, არამედ სოფლის ყოველ დუქნამდეც, ამასთან არ დაუშვას უკვე დაყვანილი გეგმების შეცვლა კვარტალის განმავლობაში.

2 გადაასინჯოს სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებათა და სავაჭრო წერტების ქსელი იმ მიზნით რომ გადიდდეს დატვირთვა, რომელიც უზრუნველჰყოფს მათ რენტაბელურ მუშაობას, ამასთან საჭირო შემთხვევებში დაშვებულ იქნას სასოფლო-სამომხმარებლო საზოგადოებათა და სავაჭრო წერტების დამსხვილება, ფართოდ იქნას გამოყენებული მოძრავი და დატარებითი ვაჭრობა, პერიოდულად პირობების მიხედვით მოეწყოს რაიონებში იარმუკობა და ბაზრები ვაჭრობის გასაძლიერებლად.

ამავე დროს გადაასინჯოს და შემცირდეს რაისამომხმარებლო კავშირების შტატები.

3 იმისათვის, რომ მომავალში თავიდან იქნას აცილებული ძნელ გასასაღებელი საქონლის თვითშესყიდვის შემთხვევები, ცეკავშირის პრეზიდიუმმა შემოიღოს ისეთი სისტემა, რომლის დროსაც თვითშესყიდვის განაღდება პირდაპირ იქნება დამოკიდებული შესყიდული საქონლის რეალიზაციის ვადებზე, ამასთან აკრძალოს თვითშესყიდვა საცალო ფასებში.

4 ცეკავშირმა გააძლიეროს ინსტრუქტაჟი და კონტროლი ფასების დარგში და რაიბაზების შტატში შეიტანოს ინსტრუქტორ-კალკულატორის თანამდებობა ხელფასის დამტკიცებული ფონდის ფარგლებში.

შინავაჭრობის სახალხო კომისარიატმა და ცეკავშირმა 1 აგვისტომდე გამოსცენ და ძირეულ ორგანიზაციებამდე დაიყვანონ ერთიანი პოპულარული ცნობარი ფასების შესახებ.

5 იმისათვის, რომ შემცირდეს დიდი სატრანსპორტო ხარჯები და გაუმჯობესდეს საქონლის გადაზიდვა, განსაკუთრებით შორეულ და მთიან რაიონებში, საქართველოს სახკომსაბჭომ 1935 წლის დამლევამდე გამოჰყოს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემისათვის 10 სატვირთო ავტომანქანა.

6 შენარჩუნებულ იქნას რაიმაღაზიების და რაიკულტმაღაზიების მუშაობაში მიღწეული წარმატებანი და მათი მუშაობის გამოცდილება მთლიანად გადატანილ იქნას უშუალოდ სასოფლო-სამომხმარებლო საზოგადოებათა დუქნებში.

7 გაფართოვდეს სასურსათო საქონლის ასორტიმენტი სოფლად, დაჩქარდეს რაისასურსათო მაღაზიების გახსნა და უზრუნველყოფილ იქნას სასურსათო საქონლის და პირველი მოთხოვნილების საქონლის (მარილი, ბურღული, ნავთი, ასანთი) ხვედრითი წონის შემდგომი ზრდა.

8 კოოპერაციის მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად ცეკავშირმა კოოპერაციის მუშაკთა კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან ერთად სამი თვის ვადაში მოაწყოს ტექმინიმუმში გამოცდის ჩაბარება ყველა მუშაკის მიერ. რაიკომებთან ერთად შეამოწმოს და გასწმინდოს კოოპერაციის ქსელი შრომისუნარმოკლებულ, უვარგის და სოციალურად უცხო ელემენტებისაგან. კადრების გადასინჯვის დროს უზრუნველყოფილ იქნას ქალების დაწინაურება კოოპერაციაში სამუშაოდ.

მუშაკთა ხელმძღვანელი კადრები (დამამზადებელი კანტორის თავმჯდომარე და გამგე, სასოფლო-სამომხმარებლო საზოგადოების თავმჯდომარე) მომზადებული იქნან კოოპერაციაში სამუშაოდ არანაკლებ 2 წლის ვადით. დაწესდეს, რომ რაისამომხმარებლო კავშირების, დამამზადებელი კონტორების, ადგილობრივი რაიონული ბაზების და ცეკავშირის გაერთიანებათა მთავარი ბუღალტრები დაინიშნებიან და მოიხსნებიან მხოლოდ ცეკავშირის პრეზიდიუმის დადგენილებით.

9 იმისათვის, რომ გაძლიერებულ იქნას სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს საქონლის მიწოდების ძირითად რგოლს სოფელში:

ა) განმტკიცდეს სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებათა გამგეობების არჩევითი წესი და მათი ანგარიშგება მეპაეთა წინაშე, რისთვისაც შემოღებულ იქნას, როგორც წესი, რომ სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოების თავმჯდომარეს ირჩევს და კოოპერატივში მუშაობიდან ათავისუფლებს მხოლოდ მეპაეთა საერთო კრება. ყოველ კვარტალში ჩატარდეს სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებათა თავმჯდომარეების ანგარიშგება თავიანთი მუშაობის შესახებ მეპაეთა წინაშე სარევიზიო კომისიების სავალდებულო თანამოხსენებით.

ბ) სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებათა სავაჭრო მუშაკთა კადრების განსამტკიცებლად ცეკავშირმა და პარტიის რაიკომებმა 1 სექტემბრამდე გაგზავნონ საქალაქო და სარაიონო ცენტრებიდან მსხვილ სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებებში სამუშაოდ — მაღაზიების გამგეებად და გამყიდველებად არანაკლებ 100 შემოწმებული და კვალიფიციურ სავაჭრო დარგის მუშაკისა.

გ) გავრცელდეს სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებათა მუშაკებზე შრომის ხელფასის ანაზღაურების ის სისტემა, რომელიც რაიმაღაზიებში არსებობს, ამასთან იგი პირდაპირ იქნას დამოკიდებული საქონელბრუნვის და მუშაობის ხარისხის გეგმების შესრულებაზე, ხელფასის დამტკიცებული ფონდის ფარგლებში.

10 დამზადების საქმიანობის შემდგომი გაძლიერებისათვის:

ა) გარდაიქმნას ცეკავშირის ცენტრალური დამამზადებელი აპარატის სტრუქტურა, დაეტოვოს მას მგეგმავ მომაწესრიგებელი ფუნქციები და სათანადოდ შემცირდეს აპარატი. ამავე დროს გაძლიერდეს ცალკეული სახის ნედლეულის დამამზადებელ სამეურნეო ანგარიშზე მყოფ გაერთიანებათა (საქხილბოსტანი, საქძეფრინველი და სხვ.) როლი.

ბ) რაისამომხმარებლო კავშირთა დამამზადებელი კანტორების ოპერატიული მუშაობის გასაძლიერებლად გადაყვანილ იქნან ისინი სრულ სამეურნეო ანგარიშზე და სამეურნეო-ოპერატიულ საქმიანობაში უშუალოდ დაუმორჩილდენ ცეკავშირის დამზადების სამმართველოს.

დაწესდეს მტკიცე სახელშეკრულებო ურთიერთობა ცეკავშირის გაერთიანებებსა და რაიონულ დამამზადებელ კონტორებს შორის ნედლეულის და პროდუქტების დამზადებისა და გასაღებისთვის. მასში გათვალისწინებული იქნება გაერთიანებათა მხრივ დამამზადებელი კონტორებისათვის ეფექტიური დახმარების მოწყობა (ტარით მომარაგება, ინსტრუქტაჟი, დამზადებული ნედლეულის გადაზიდვა და სხვ.).

11 ცეკავშირმა რაიკომებთან ერთად გადასინჯოს რაისამომხმარებლო კავშირთა, საქალაქო და სასოფლო - სამომხმარებლო საზოგადოებათა სასადილოების ქსელი, დატოვოს მათგან მხოლოდ ისინი, რომლებიც უზრუნველყოფილი არიან სათანადო პირობებით უზარალო მუშაობისათვის (დეცენტრალიზებული დამზადება, დამხმარე მეურნეობანი). ყველა სასადილო გადაიყვანოს სამეურნეო ანგარიშზე, რაისამომხმარებლო კავშირთა სასადილოები გადასცეს საქალაქო სამომხმარებლო საზოგადოებებს და დიდ სასოფლო-სამომხმარებლო საზოგადოებებს.

12 სისტემის ფინანსიური მდგომარეობის განსამტკიცებლად:

ა) შემცირდეს სადებიტორო დავალიანება წლის ბოლომდის არანაკლებ 25 მილიონი მანეთისა 1 იანვარს არსებული მდგომარეობასთან შედარებით და დაწესდეს გადახდევინების კალენდარული გეგმა თვითეული ორგანიზაციის მიხედვით. რაიკომებმა, რაიაღმასკომებმა და რესპუბლიკის პროკურორმა ამ მუშაობაში ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ სამომხმარებლო კოოპერაციას. მოეწყოს სახარბიტრაჟო სპეციალური სესია ცეკავშირის პრეტენზიების განსახილველად.

ბ) აეკრძალოთ სისტემის ორგანიზაციებს მომხმარებლისათვის საქონლის და პროდუქტების რაიმე გაცემა კრედიტად, საქონლის გაცემა კრედიტად შეფასდეს, როგორც კოოპერატიულ საშუალებათა განიავება და მტაცებლობა.

გ) დადგენილ იქნას წესად, რომ სისტემის არც ერთ ორგანიზაციას არ შეეძლოს ჩამოსწეროს სადებიტორო დავალიანება ან ხელახლა შეაფასოს საქონელი ცეკავშირის პრეზიდიუმის მიერ სპეციალურ გადაწყვეტილების გამოუტანლად.

დ) ცეკავშირმა დაუყოვნებლივ გააფორმოს ყველა მასალა მფლანგველობის, მტაცებლობის და კოოპერატიულ ორგანიზაციათა უყაირათო საქმიანობის შესახებ და გადასცეს პროკურორს დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად. რესპუბლიკის პროკურორმა ამ საქმეთა გამოძიება დაამთავროს სასწრაფო წესით. და მეორე და მესამე კვარტალის განმავლობაში გაიმართოს მთელი რიგი საჩვენებელი პროცესები რაიონებში. შემდეგ შემოღებული იქნას ისეთი წესი, რომლის დროსაც ახლადაღძრული საქმეები უნდა დამთავრდეს ერთი თვის ვადაში მაინც, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას მისჯილი თანხის თავის დროული გადახდევინების კონტროლით.

ე) სისტემის ყველა რგოლის მუშაობის კონტროლის უკეთ მოსაგვარებლად მფლანგველობისა და მტაცებლობის თავიდან ასაცილებლად, მოეწყოს ცეკავშირის თავმჯდომარესთან, დამტკიცებული შტატის და ხელფასის ფონდის ფარგლებში, რევიზორ - ინსპექტორთა ჯგუფი კვალიფიციური მუშაკებისაგან. დაეკისროს ამ ჯგუფს ყოველდღიური რევიზიის მოხდენა სავაჭრო წერტთა სარევიზიო და სადუქნო კომისიების მონაწილეობით, აგრეთვე როგორც რაისამომხმარებლო კავშირთა, ისე სასოფლო-სამომხმარებლო საზოგადოებათა ფულადი-და მატერიალური ღირებულებების და შემოსავალ - გასავლის დოკუმენტების შემოწმება. ასეთივე ჯგუფები მოეწყოს ავტონომიური რესპუბლიკების სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირებთან.

13 აეკრძალოს ყველა ორგანიზაციას და პირს როგორც ცეკავშირის სისტემის შიგნით, ისე რაიონულ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს მოახდინონ პირდაპირ თუ არაპირდაპირ სახსრების გამორთმევა სამომხმარებლო კოოპერაციისაგან (ადგილობრივ ორგანიზაციათა საჭიროებებისათვის, რაიაქტივისა და სხვათათვის სადილების გაცემა თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასად. კაპიტალური მშენებლობის გეგმით გაუთვალისწინებელ სხვადასხვა კამპანიის ჩატარება და რემონტი, ქონების გამორთმევა და სხვა). არ იქნას დაშვებული სავაჭრო და სასაწყობო ნაგებობათა საიჯარო ფასის გადიდება საქართველოს სახკომსაბჭოს ნებადაურთველად.

დაევალოს საქართველოს კ.პ. (ბ) ც. კ-თან არსებულ პარტიულ-საბჭოთა კონტროლის ჯგუფს, ფინსახკომსა და ცეკავშირთან ერთად, მოახდინოს რაიონთა მთლიანი გამოკვლევა სახსრების გამორთმევის დარგში და, ც. კ-ის 25 მაისის გადაწყვეტილების საფუძველზე, გადაახდევინოს რაიონებს გამორთმეული სახსრები მათი ბიუჯეტიდან და დაუბრუნოს კოოპერაციას.

14 ცეკავშირის სისტემაში ანგარიშიანობის დაყენების გასაუმჯობესებლად, დაევალოს ცეკავშირის პრეზიდიუმს შემოიღოს ისეთი წესი, რომლის დროსაც სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციათა ბალანსის ოპერატიული გაწმენდა უნდა ხდებოდეს კვარტალში ერთხელ მაინც.

15 ც. კ-ის საბჭოთა ვაჭრობის განყოფილებამ ცეკავშირის პრეზიდიუმთან ერთად 2 თვის ვადაში გადასინჯოს სავაჭრო კადრების მოსამზადებელ სასწავლებელთა არსებული ქსელი, მათი პროფილი და სასწავლო პროგრამები იმ ვარაუდით, რათა უზრუნველყოფილ იქნას ამ სკოლების მიერ კოოპერაციისათვის ნამდვილად აუცილებელ მუშაკთა გამოშვება, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პირველ რიგში სოფლის სამომხმარებლო საზოგადოებათვის ვაჭრობის პრაქტიკულ მუშაკთა და მოანგარიშე მუშაკთა მომზადებას. გარდაიქმნას ტფილისში არსებული კოოპერატიული ტექნიკუმი 35-36 სასწავლო წლიდან სავაჭრო სკოლად საქონელმცოდნეების, მოანგარიშეებისა და გამყიდველების მოსამზადებლად. მესამე კვარტალის დასაწყისში მოეწყოს სარაიონთაშორისო ორთვიანი კურსები გურჯაანსა, ახალციხესა, ქუთაისსა, ზუგდიდსა და ბათუმში სასოფლო-სამომხმარებლო საზოგადოებათა თავმჯდომარეების, მოანგარიშეების და დახლის მუშაკთა მოსამზადებლად და გადასამზადებლად.

16 ფართოდ გაიშალოს კოოპერაციის ყველა სისტემის რგოლში სოციალისტური შრომის მეთოდები, ინდივიდუალური და ჯგუფური შეჯიბრება, ორგანიზაციათა შეჯიბრება საქონელბრუნვის, დამზადების, ფინანსიური მეურნეობის განმტკიცების, გეგმის ხარისხობრივ და რაოდენობრივ მაჩვენებელთა საუკეთესოდ შესრულების, მტაცებლობის, მფლანგველობის და დანაკლისის მთლიანად ლიკვიდაციის დარგში. მოეწყოს კოოპერაციის საუკეთესო ადამიანთა ჩვენება. დახლის დამკვრელ მუშაკთათვის 1936 წელს მოეწყოს დასასვენებელი სახლი 100 კაცისათვის აჭარისტანში. შენარჩუნებულ იქნას 1935 წლის სეზონისათვის ადგილები კოოპერაციის დამკვრელ მუშაკებისთვის დასასვენებელ სახლებსა და სანატორიუმებში.

17 ვინაიდან პარტიული მუშაობა სავაჭრო-კოოპერატიულ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ თვალსაჩინოდ ჩამორჩენილია, წინადადება მიეცეს საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტებს—„სავაჭრო კოოპერატიულ პარტორგანიზაციებში პარტიულ-ორგანიზაციული და აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ" საქ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის 23 აპრილის გადაწყვეტილების საფუძველზე — უმოკლეს ვადაში გადასინჯონ და გააძლიერონ კოოპერაციის პირველადი პარტორგანიზაციების მუშაობა. იწონებს რა მთელი რიგი რაიონების პრაქტიკას, რომლებმაც მუშაობის გასაძლიერებლად სავაჭრო საწარმოთა პარტორგანიზაციებზე კვალიფიციური მუშაკები მიამაგრეს (ახალქალაქი, ჩოხატაური), ც. კ-ის პლენუმი წინადადებას აძლევს ყველა საქალაქო და სარაიონო კომიტეტს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მტკიცე და მომზადებული პარტორგების შერჩევას კოოპერაციაში სამუშაოდ.

18 ც. კ-ის პლენუმი აფრთხილებს ოლქკომთა, რაიკომთა და საქალაქო კომიტეტთა მდივნებს, რომ კოოპერაციის მუშაობისათვის მათ აწევთ ისეთივე პასუხისმგებლობა, როგორც სახალხო მეურნეობის სხვა უმნიშვნელოვანესი დარგების მდგომარეობისათვის. ც. კ-ის პლენუმი ყველა პარტიული ორგანიზაციის წინაშე აყენებს საბრძოლო ამოცანას — გამოიყვანონ კოოპერაცია იმ მძიმე მდგომარეობიდან, რომელშიაც იგი იმყოფება, მთლიანად აღმოფხვრან მტაცებლობის და მფლანგველობის სამარცხვინო ფაქტები და გახადონ მისი ყველა რგოლი და დარგი რენტაბელური უკვე 1935 წელს, რათა მან კიდევ უფრო წარმატებით შეასრულოს საბჭოთა ვაჭრობის გაშლის ამოცანები.

სსრ. კ-ის სახკომსაბჭოში

მოსკოვი, 4 ივნისი. 2 ივნისს ამხ. **ვ. მ. მოლოტოვის** თავმჯდომარეობით გაიმართა საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს სხდომა, რომელზედაც განიხილა მთელი რიგი საკითხები.

სახკომსაბჭომ მოისმინა ტრესტ „აპატიტის" მიერ აგებულ საწარმოთა მისაღებად მთავრობის მიერ გამოყოფილი კომისიის თავმჯდომარის ამხ. **გამბურგის** მოხსენება და ტრესტის ხელმძღვანელის ამხ. **კონდრიკოვის** ინფორმაცია. სახკომსაბჭომ აღნიშნა ტრესტ „აპატიტის", მისი ხელმძღვანელის ამხ. **კონდრიკოვის** და ტრესტ „აპატიტის" მთავარი ინჟინრის ამხ. **ბრანდის** კარგი მუშაობა.

გაცხოველებული კამათი გამოიწვია საკითხმა, თუ როგორ შესრულდა 1935 წლის პირველ კვარტალში ფართო მოხმარების ლითონის ნაწარმთა დამზადების გეგმა და იმ ღონისძიებათა საკითხმა, რომლებმაც უნდა უზრუნველჰყონ 1935 წლის გეგმის შესრულება. ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ამხ. **ზოლოტარიოვმა, ვოლკოვმა, კვირინგმა, ეპშტეინმა, ბულგანინმა, ხლოპლიანკინმა, ორჯონიკიძემ, ჩუბარმა და ვ. მ. მოლოტოვმა.**

როგორც კამათიდან გამოირკვა, ლითონის ნაწარმთა გამოშვება მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ქარხნებში 1935 წლის პირველ კვარტალს, 1934 წლის პირველ კვარტალთან შედარებით, 60 პროცენტით გადიდდა, ხოლო ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოებში—36,6 პროცენტით. მაგრამ 1935 წლის პირველი კვარტალის გეგმა ჯერ კიდევ არ არის შესრულებული მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატმა იგი შეასრულა 89,6 პროცენტით, ხოლო რუსეთის ს.ფ.ს.რ-ის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მრეწველობამ—87,6 პროცენტით. განსაკუთრებით უხეიროდ მუშაობდა უკრაინის ადგილობრივი მრეწველობა. უკრაინის ადგილობრივი მრეწველობის მთელ რიგ დარგებში პირველი კვარტალის გეგმა შესრულებულია 42—75 პროცენტით. ყველა სისტემა არადამაკმაყოფილებლად ასრულებდა ჭურჭლის და საოჯახო საგნების დამზადების გეგმას.

გამოსვლებში აღნიშნეს პროდუქციის არადამაკმაყოფილებელი ხარისხი და ნაწარმთა ნომენკლატურის შემცირება, განსაკუთრებით ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მრეწველობაში. მიუთითეს აგრეთვე იმაზე, რომ საჭიროა გაძლიერდეს ქარხნების დაინტერესება ფართო მოხმარების საქონლის დამზადებით.

გადაწყვეტილების შესამუშავებლად გამოიყო კომისია ამხ. **ჩუბარის** თავმჯდომარეობით.

მოხსენებაში მოხამსახურეთა ხელფასის სახელმწიფო ნორმირების შესახებ ფინანსთა სახალხო კომისარმა ამხ. **გრინკომ** აღნიშნა: დღემდე მოხამსახურეთა სათანადო განაკვეთები წესრიგდებოდა შრომის სახალხო კომისარიატის მოძველებული დადგენილებით, რომელიც გამოცემულია 1933 წლის 15 მაისს.

განხილულ იქნა სახელმწიფო ნორმირების ის სქემა, რომელიც ამხ. გრინკომ წარმოადგინა. კამათში გამოვიდნენ ამხ. **ორჯონიკიძე, ლიუბიმოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ვეინბერგი, ანტიპოვი, ტკაჩევი, ლობოვი, ვ. ი. მეჟლაუკი და ვ. მ. მოლოტოვი.**

გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა სქემაში გავითვალისწინოთ მინიმალური და მაქსიმალური განაკვეთები ერთი და იმავე თანამდებობისათვის, რათა დაწესებულების ხელმძღვანელს საშუალება ჰქონდეს ამ ფარგლებში დაუნიშნოს მუშაკს ისეთი განაკვეთი, რომელიც მის გამოცდილებას და კვალიფიკაციას შეეფერება. ისიც აღნიშნეს, რომ სახელმწიფო ნორმირების წესი ჯერჯერობით უნდა ვრცელდებოდეს ძირითად, მასობრივ კვალიფიკაციებზე, რათა მისმა გატარებამ არ გამოიწვიოს ხელფასის დაწესებული ფონდების გადახარჯვა. დაწესებულებათა მოხამსახურეების ძირითად მასობრივი პროფესიებისათვის ხელფასის სახელმწიფო ნორმირების და პერსონალურ განაკვეთთა შემოღების წესის შესახებ გადაწყვეტილების პროექტის შესამუშავებლად სახკომსაბჭომ აირჩია კომისია ამხ. **ვ. მ. მოლოტოვის** თავმჯდომარეობით.

სახკომსაბჭომ მოისმინა ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. **ლევინის** მოხსენება სახალხო კომისარიატებსა და ორგანიზაციებში სამოვლინებო ხარჯების 285 მილიონი მანეთით შემცირების შესახებ. აქედან ჩანს, რომ ბრძოლა ზედმეტ მოვლინებებთან არა თუ განტვირთავს ტრანსპორტს, არამედ აგრეთვე სახელმწიფო სახსართა ფრიად თვალსაჩინო ეკონომიასაც მოგვცემს.

სახკომსაბჭომ დაავალა ამხ. **ბელენკის** (საბჭოთა კონტროლის კომისია) შეამოწმოს ყველა სახალხო კომისარიატსა და ცენტრალურ სამმართველოებში სამოვლინებო ხარჯთა შემცირების ანგარიში, რომელიც ფინსახკომმა წარუდგინა, და 8 დღის ვადაში წარუდგინოს სახკომსაბჭოს ამ მუშაობის შედეგები.

მთავრობის კრიზისი საფრანგეთში

ბუისონის მთავრობა გადადგა

პარიზი, 4 ივნისი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, დეპუტატთა პალატამ 264 ხმით 262 ხმის წინააღმდეგ უარყო პროექტი ბუისონის მთავრობისათვის საგანგებო რწმუნებათა მინიჭების შესახებ. მთავრობა გადადგა. (ადს).

ვინ მისცა ხმა ბუისონის კაბინეტის წინააღმდეგ

პარიზი, 5 მაისი. ბუისონის კაბინეტის წინააღმდეგ ხმა მისცეს კომუნისტებმა, სოციალისტებმა, ნეოსოციალისტებმა და 65 რადიკალ-სოციალისტმა. თავი შეიკავა 60 დეპუტატმა, სხდომას არ დასწრებია 25 დეპუტატი. ღამით შესდგა მემარცხენე პარტიების თათბირი, რომელშიაც კომუნისტების და სოციალისტების გარდა, მონაწილეობას ღებულობდა რადიკალ - სოციალისტთა მემარცხენე ფრთა. სხდომა გაგრძელდება დღეს. (ადს).

კაბინეტის შედგენა დაევალა ლავალს

პარიზი, 5 ივნისი. ბუისონის კაბინეტის გადადგომის შემდეგ პრეზიდენტმა ლებრენმა კვლავ მისცა მას წინადადება შეედგინა კაბინეტი, მაგრამ ბუისონმა უარი განაცხადა. მაშინ პრეზიდენტმა კაბინეტის შედგენა დაავალა სენატის თავმჯდომარეს ჟანენეს. ჟანენემაც უარი განაცხადა, რის შემდეგ პრეზიდენტმა იმავე წინადადებით მიმართა ლავალს. ლავალმაც გუშინ უარი სთქვა. დღეს დილით პრეზიდენტმა კვლავ დაავალა ლავალს შეადგინოს კაბინეტი. (ადს).

ლავალმა უარი სთქვა კაბინეტის შედგენაზე

პარიზი, 5 ივნისი. ლავალმა უარი სთქვა კაბინეტის შედგენაზე. მან განაცხადა, რომ მას თუმცა აკმაყოფილებს რადიკალების მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი, მაგრამ რადიკალ - სოციალისტთა ფრაქციის საქციელი იწვევს მასში ეჭვს — სათანადოდ დაუჭერენ თუ არა მთავრობას მხარს დეპუტატთა პალატაში ენერგიულ ღონისძიებათა გასატარებლად.

პრეზიდენტმა ლებრენმა მიიწვია ბუისონი და ერიო. (ადს).

საუბარი ლავალსა და ამხ. პოტიომკინს შორის

პარიზი, 4 ივნ.. იუწყება, რა რომ გუშინ საგარეო საქმეთა მინისტრ ლავალსა და საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელ ამხ. პოტიომკინს შორის გაიმართა საუბარი, საფრანგეთის პრესა ამ საუბარს უკავშირებს გერმანიის ელჩის კესტერის გუშინდელ დარბაზობას ლავალთან ამასთან ამ ფაქტებს გაზეთი დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევს.

„პტი პარიზიენის" თანამშრომელი ბურგესი, რომელიც ლავალთან დაახლოებულია, გადმოგვცემს, რომ ლავალის საუბარი კესტერთან უწინარეს ყოვლისა შეეხო გერმანიის მემორანდუმს იმის შესახებ, რომ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება „არ შეეფერება" ლოკარნოს.

ამას გარდა, ლავალი ესაუბრა კესტერს იმის შესახებ, რომ შესაძლებელია დადებულ იქნას თავდაუსხმელობის აღმოსავლეთის პაქტი გერმანიის მონაწილეობით, როგორც ეს გათვალისწინებულია მოსკოვის კომუნიკეში და ფონ-ნეირატის ცნობაში, რომელიც სტრეზას კონფერენციაზე გამოქვეყნდა.

ეს თემა, როგორც „ევრი" და „ეკო დე პარი" დამატებით იუწყებიან, მჭიდროდ არის დაკავშირებული დასავლეთ სახელმწიფოებს შორის საჰაერო პაქტის შესახებ წარმოებულ მოლაპარაკებასთან; ამ პაქტის დადებას მოითხოვს გერმანია, და საფრანგეთიც თანახმაა დაიწყოს მოლაპარაკება მისი დადების შესახებ.

„ევრი" შემდეგნაირად განმარტავს საფრანგეთის თვალსაზრისს:

„მოდით ვილაპარაკოთ და მოლაპარაკებაც კი ვაწარმოოთ. მაგრამ საჰაერო პაქტის საბოლოო ხელმოწერა არ შეიძლება მოხდეს მანამ, სანამ ბერლინი არ დააკმაყოფილებს ლონდონის 3 თებერვლის შეთანხმების ყველა მოთხოვნას, ე. ი. სანამ არ იკისრებს ვალდებულებებს აღმოსავლეთ ევროპაში უშიშროების შესახებ".

პერტინაქსიც „ეკო დე პარიში" აცხადებს, რომ საიმონი, მუსოლინი და ლავალი მზად არიან დაიწყონ მოლაპარაკება ბერლინთან საჰაერო პაქტის შესახებ. მაგრამ ლავალი ამავე დროს აზუსტებს, რომ, თანახმად საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის 1934 წლის 5 დეკემბრის ოქმისა, არავითარი პაქტი არ იქნება ხელმოწერილი საბჭოთა კავშირთან შეუთანხმებლად. პერტინაქსი ამტკიცებს, რომ ასეთივე აზრი გამოთქვა ლავალმა გუშინ სრულუფლებიანი წარმომადგენლის ამხ. პოტიომკინის მიღების დროს. (ადს).

ფაშისტური ოფიციოზის გულახდილობა

ომის პროგრამა, შენიღბებული დიპლომატიური ხრიკებით

ბერლინი, 4 ივნისი. გერმანიის მემორანდუმი, გადაცემული ლოკარნოს პაქტის მონაწილეებისათვის, რომლის მიხედვითაც საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთდახმარების ხელშეკრულება თითქოს „არ შეეფერება" ლოკარნოს ხელშეკრულებას, დაუყოვნებლივ იქნა გამომჟღავნებული, როგორც გერმანიის დიპლომატიის მორიგი მანევრი, მიმართული უშიშროების უზრუნველყოფის წინააღმდეგ. ამიტომ საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციოზი „დეიტშე დიპლომატიშ-პოლიტიშე კორესპონდენცი" ვრცელ წერილში ცდილობს დაადასტუროს გერმანიის მტკიცების საფუძვლიანობა.

ოფიციოზის აბნეული ფორმულირების აზრი მდგომარეობს იმაში, რომ იგი აშკარად აღიარებს იმ ფაქტს, რომ გერმანია მოითხოვს, რათა საფრანგეთმა ხელი აიღოს ურთიერთდახმარების ვალდებულებებზე საბჭოთა კავშირის მიმართ იმ შემთხვევაში, თუ გერმანია თავს დაესხმის საბჭოთა კავშირს. ფაშისტური ოფიციოზი ცდილობს დაასაბუთოს ეს მოთხოვნა ჭორებით, რომ ერთმანეთს „არ შეეფერებიან" საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება და საფრანგეთის ვალდებულებანი, რომლებიც ლოკარნოს ხელშეკრულებიდან გამომდინარეობენ.

ამასთან განსაკუთრებით დამახასიათებელია, რომ „დეიტშე დიპლომატიშ-პოლიტიშე კორესპონდენცი" საჭიროდ სთვლის დააზუსტოს, რომ „დღეს, რასაკვირველია, არ არსებობს ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ძალაში შესვლის რეალური შესაძლებლობა", ე. ი. რომ „დღეს" გერმანიას ჯერ კიდევ არა აქვს განზრახვა გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომლებიც ამას გამოიწვევდნენ.

შემდეგ „დეიტშე დიპლომატიშ-პოლიტიშე კორესპონდენცი" ცდილობს დაამტკიცოს, რომ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ხელშეკრულება „იურიდიულად არ შეეფერება" ლოკარნოს ხელშეკრულებას.

⁂

„პრავდა", კომენტარიებს უკეთებს რა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციოზის „დეიტშე დიპლომატიშ-პოლიტიშე კორესპონდენცის" სტატიას, რომელიც ცდილობს დაასაბუთოს, რომ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ხელშეკრულება „არ შეეფერება" ლოკარნოს ხელშეკრულებას წერს:

„როგორადაც არ უნდა ითვალთმაქცოს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციოზმა, საღი გონების მქონე ყოველი ადამიანისათვის ნათელია, თუ რაშია აქ საქმე. გერმანიის ფაშიზმი ცდილობს რათაც არ უნდა დაუჯდეს შეინარჩუნოს მოქმედების თავისუფლება დასავლეთსა და აღმოსავლეთში, ე. ი. შეინარჩუნოს იერიშის მისატანი მიმართულების ამორჩევის თავისუფლება. თვით „დეიტშე დიპლომატიშ-პოლიტიშე კორესპონდენცის" არგუმენტაცია ამჟღავნებს ფაშისტურ „მშვიდობისმოყვარეობას".

„კორესპონდენცის" სტატიის დასაწყისში ნათქვამია, რომ „გერმანიას არა აქვს სამხედრო ზრახვები აღმოსავლეთში და არც იმისი განზრახვა, რომ შეარყიოს ლოკარნოს ხელშეკრულება ან გამოაცალოს მას შინაარსი, მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ ამით იხსნება გერმანიის დიპლომატიის მიერ აღძრული მთელი საკითხი, რამდენადაც საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ხელშეკრულებას ურთიერთ დახმარების შესახებ აქვს მხოლოდ მხოლოდ თავდაცვითი ხასიათი და თვით ურთიერთდახმარების ვალდებულება, როგორც ეს გათვალისწინებულია ხელშეკრულებით და ოქმით, ძალაში შედის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა კავშირს ან საფრანგეთს თავს დაესხმის მესამე ქვეყანა. ამიტომ ცხადია, რომ მხოლოდ თვით გერმანიის ფაშიზმს შეეძლო შეექმნა თავისი აგრესიული მოქმედებით აღმოსავლეთში ან დასავლეთში იმის წანამძღვარი, რომ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთდახმარების ხელშეკრულების სათანადო პუნქტები შესულიყვნენ ძალაში.

მაშინ რაღა აზრი აქვს გერმანიის ოფიციოზის არგუმენტებს, რომელიც რამდენიმე სტრიქონით ქვემოთ გვარწმუნებს, რომ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ხელშეკრულება არღვევს ლოკარნოს ხელშეკრულების პრინციპებს და მშვიდობიანობას დასავლეთში? ხომ სავსებით ნათელია, რომ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ხელშეკრულება, რომელიც მთლიანად შეეფერება ერთა ლიგის წესდებას, კი არ ეწინააღმდეგება ლოკარნოს ხელშეკრულებას, არამედ ამტკიცებს მას. მაგრამ სწორედ ეს არ არის ხელსაყრელი გერმანიის ფაშიზმისათვის. არსებითად იგი მოითხოვს არა მარტო საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ხელშეკრულების გაუქმებას, არამედ იმასაც, რომ ლოკარნოს ხელშეკრულება გადაიქცეს ცალმხრივ აქტად, რომლის მთავარი მიზანი იქნებოდა გერმანიის ზურგის საერთაშორისო გარანტიის შექმნა დასავლეთში იმ შემთხვევისათვის, თუ ფაშისტები დაიწყებდნენ ავანტურას აღმოსავლეთში.

მაშასადამე, საქმე ის კი არ არის, თუ რამდენად შეეფერება საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის პაქტი ლოკარნოს ხელშეკრულების „იდეას" და „პრინციპებს", აგრეთვე ერთა ლიგის წესდებას, არამედ ის, რომ გერმანიის ფაშიზმს სურს უზრუნველყოს თავისთვის უფრო ხელსაყრელი პოლიტიკური პირობები, ე. ი. სრული დაუსჯელობა შეტევითი ომისათვის, აგრესიისათვის.

გერმანიის დიპლომატები ჯამბაზობენ ლოკარნოს ხელშეკრულებით, — ვაკვრით ლაპარაკობენ გერმანიის მხრით მისი დარღვევის შესაძლებლობაზე (ჯარების შეყვანა რეინის დემილიტარიზებულ ზონაში და სხვ.), რათა შანტაჟი გაუწიონ საფრანგეთს და დააშინონ იგი.

ამგვარად კვლავ დასტურდება, რომ გერმანიის ფაშიზმი ემზადება სამხედრო თავდასხმისათვის და მისი ბელადების მთელი ლაპარაკი „მშვიდობისმოყვარეობის" შესახებ ასრულებენ მხოლოდ კვამლის ფარდის როლს (ადს).

ჩინეთის წითელი არმიის წინსვლა

შანხაი, 12 ივნისი. „პეკინ ენდ ტიანძინ ტაიმსი" იუწყება, რომ მაოძედუნის და ჩუ-დეს ჯარები სამ ადგილას გადავიდნენ მდინარე იანძიზე. მაგრამ ამ ჯგუფის ყველა ჯარი როდი წავიდა სიჩუანში, ნაწილი დარჩა იუნანის ჩრდილოეთ ნაწილში და გუიჯოუს სამხრეთ დასავლეთ ნაწილში.

ავტორიტეტული წყაროებიდან მიღებული ცნობებით,— აღნიშნავს გაზეთი, —ხო-ლუნის წითელმა არმიამ ხუნანში დაამარცხა ნანკინის ჯარების მე-58 და მე-85 დივიზიები. მე-16 წითელი არმია ბინძიანიდან მიიწევს იანძისაკენ, იუ-ჯოუს რაიონში, მას არავინ უწევს სერიოზულ წინააღმდეგობას.

ხანკოუში ჩამოვიდნენ იუ-ჯოუდან ევაკუირებული ამერიკელი მისიონერები. მათი წამოსვლა გამოწვეულია იმის შიშით, რომ წითლები შესწყვეტენ სარკინიგზო მიმოსვლას იუ-ჯოუსა და ჟჩანს შუა. იუ-ჯოუს იცავს მილიციის რაზმი, რომელიც მხოლოდ ათასი კაცისაგან შესდგება. (ადს).

ლაშქრობა უვარგისი საშუალებებით

ჟენევა, 4 ივნისი. გერმანიის მთავრობა ცდილობს იურიდიული თვალსაზრისით სადაოდ გახადოს ის, ეგუება თუ არა საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის ურთიერთ დახმარების ხელშეკრულება ლოკარნოს პაქტსა და ერთა ლიგის წესდებას. ამ ცდას ერთა ლიგის წრეებში აფასებენ, როგორც თავდასხმას უვარგისი საშუალებებით. აქ ხაზს უსვამენ: საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის ხელშეკრულების თავისებურება სწორედ ისაა, რომ იგი სავსებით ეთანხმება ერთა ლიგის წესდების მუხლებსო. აქ აცხადებენ: გერმანიის მთავრობის ეს ცდა „მხოლოდ საბაბია საფრანგეთის შანტაჟისტებისათვის რეინის დემილიტარიზებული ზონის გამო", იმავე დროს იგი არის „ნაწილი მანევრი'სა, რომლის მიზანია აღმოსავლეთის და დასავლეთის ერთმანეთისაგან გათიშვაო". (ადს).

ჩეხო-სლოვაკიის ახალი მთავრობა

პრაღა, 3 ივნისი. სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობით, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა მასარიკმა მოიწონა მთავრობის შემადგენლობა, წარმოდგენილი პრემიერ მალიპეტრის მიერ. როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ახალი კაბინეტი ბევრი არაფრით განსხვავდება წინანდელისაგან. ფიქრობენ, რომ კაბინეტში შევლენ შემდეგი ახალი მინისტრები: **მახნიკი** (ჩეხი აგრარი), რომელიც დაიკავებს სამხედრო მინისტრის პოსტს, ხელოსანთა პარტიის ბელადი **ნაიმანი,** რომელსაც მიეცემა ვაჭრობის და მრეწველობის მინისტრის პორტფელი. და სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი დეპუტატი **ნეჩასი,** რომელიც დაიკავებს სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის პოსტს. ჯანმრთელობის მინისტრი **სპინა** (გერმანელ აგრარიების ბელადი) მთავრობაში დარჩება, როგორც უპორტფელო მინისტრი.

სამხედრო მინისტრი **ბრადაჩი** ახალი მთავრობის შედგენის შემდეგ დაიკავებს დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის პოსტს. (ადს).

—○—

ინგლისის ახალი მთავრობის შედგენის გარშემო

ლონდონი, 4 ივნისი. პოლიტიკურ წრეებში თითქმის უდავოდ მიაჩნიათ, რომ მაკდონალდი 7 ივნისს გადადგება პრემიერის პოსტიდან და, რომ ბოლდუინი იმავე დღეს გამოაცხადებს კაბინეტის ახალ შემადგენლობას. დღემდე არ არის გამორკვეული, ვინ იქნება საგარეო საქმეთა მინისტრი. ასახელებენ ხორს, აგრეთვე იდენს. „დეილი ჰერალდის" აზრით, ბოლდუინი შეათავსებს პრემიერის და საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტებს საყოველთაო არჩევნებამდე. ამასთან მის თანაშემწედ საგარეო საქმეთა სამინისტროში იდენი იქნება. (ადს).

—○—

გაფიცვა კრუპის ქარხანაში

პარიზი, 31 მაისი. „ლუმანიტე" იუწყება, რომ გერმანიის უდიდეს სამხედრო საწარმოში — კრუპის ქარხანაში მოხდა გაფიცვა. გაფიცვა 6 საათს გაგრძელდა და დამთავრდა მუშების გამარჯვებით—ხელფასის გადიდებით 2 პროცენტით. მუშებს სასტიკად აუკრძალეს ელაპარაკნათ სადმე გაფიცვის შესახებ. ეს ფაქტი ცნობილი გახდა გერმანიის კომპარტიის არალეგალურ ორგანო „როტე ფანედან", რომელიც საშინელი ფაშისტური ტერორის მიუხედავად, რეგულარულად გამოდის და ვრცელდება მთელს გერმანიაში. (ადს).

შეტაკება იტალიის და აბისინიის ჯარებს შორის

რომი, 4 მაისი. სტეფანის სააგენტოს გადმოცემით, 31 მაისს დანაკილ ერიტრიას რაიონში „აბისინელთა შეიარაღებული ჯგუფი თავს დაესხა იტალიის ჟანდარმერიის პოსტს". იტალიის მხრით თითქოს მოკლულია 30 კაცი და გატაცებულია მრავალი პირუტყვი. იმავე დღეს მოხდა კიდევ ერთი შეტაკება იმ დროს, როცა 20 შეიარაღებული აბისინელი ცდილობდა გადალახა იტალიის სომალსა და აბისინიას შორის დაწესებული ხაზი. (ადს).

—○—

ყოფილ საბჭოთა მოსამსახურეების

ევაკუაცია ხარბინიდან

შანხაი, 1 ივნისი. ხარბინიდან მიღებული ცნობებით, დღეს იქიდან გაემგზავრა აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინისგზის ყოფილ საბჭოთა მოსამსახურეების მორიგი ეშელონი. ეშელონში 61 ოჯახია, 203 კაცის შემადგენლობით.

ამ ეშელონით დასრულდა ხარბინიდან ყოფილ საბჭოთა მოსამსახურეების ევაკუაციის პირველი ეტაპი.

ყველა ეშელონს აცილებდნენ ათასობით საბჭოთა მოქალაქეები, რომლებიც პერონზე მედგრობულად და გულთბილად ეთხოვებოდნენ. წამსვლელთ, ევაკუაციის მეორე ეტაპი დაიწყება ხარბინში 28 ივნისს. მანამდე მოხდება აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინისგზის ყოფილ საბჭოთა მოსამსახურეების ევაკუაცია გზის ხაზიდან. 3 და 4 ივნისს წამოვლენ პირველი პარტიები იმიანპოს, ხანდაოხეძის, კუანჩენძის, იაომინის და ბუხედუს სადგურებიდან. ამავე დროს დაიწყება ევაკუაცია სადგურ პოგრანიჩნაიას მხრიდან. (ადს).

—○—

ერთიანი ფრონტის წარმატება შვეიცარიაში

ვენა, 4 ივნისი. ციურიხიდან მიღებული ცნობით, გუშინწინ შესდგა პლებისციტი კრიზისთან და მის შედეგებთან ბრძოლის კანონპროექტისათვის, რომელიც წამოაყენეს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ და კომპარტიამ. სოციალ-დემოკრატიული და კომუნისტური პარტიების ერთიანმა ფრონტმა მიიღო უმრავლესობა უმნიშვნელოვანეს სამრეწველო კანტონებში: ქალ. ბაზელში, ბაზელის რაიონში, ბერნში, სოლოტურნსა და შაფჰაუზენში.

ბაზელში იმავე დროს შესდგა კანტონური პლებისციტი ბურჟუაზიული პარტიების მიერ წარმოდგენილი კანონპროექტისთვის 1 მაისის დღესასწაულის გაუქმების შესახებ. კანონპროექტი უარყოფილ იქნა 22 ათასი ხმის უმრავლესობით 14 ათასის წინააღმდეგ. (ადს).

საბჭოთა სამხრეთ-ოსეთის 15 წლისთავისათვის

1917—1921 წლები სამხრეთ-ოსეთში

სამოქალაქო ომის ქრონიკა

1917 წლის 23 აგვისტოს კბილის ტექნიკოსის **გიორგი კულუმბეგოვის** თაოსნობით სამხრეთ-ოსეთში ჩამოყალიბდა რევოლუციურ გლეხთა კავშირი, რომელშიაც შედიოდნენ ფრონტიდან დაბრუნებული ბოლშევიკი ჯარისკაცები, მუშები და რევოლუციურად განწყობილი გლეხები. კავშირის მიზანი იყო მემამულეებთან და მათი დამცველების-მენშევიკებთან ბრძოლა.

კავშირის წევრები შეუდგნენ მემამულეთა განიარაღებას. სოფ. კორნისში მემამულეებმა ხერხეულიძეებმა განიარაღების დროს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს, რის გამო ისინი ამოწყვიტეს.

ამის შემდეგ მენშევიკებმა სამხრეთ-ოსეთში გაგზავნეს დიქტატორული უფლებებით აღჭურვილი ვინმე კოსტა კაზიევი, რომლის ამოცანას შეადგენდა ჯარისკაცების და რევოლუციონურად განწყობილი გლეხების განიარაღება.

კაზიევმა პირველად დამსჯელი ექსპედიცია წაიყვანა სოფ. კოოისში, დააპატიმრა 60 გლეხი და მოითხოვა იარაღის ჩაბარება. მალე ის თვითონ კინაღამ ჩავარდა ტყვედ, გაანთავისუფლა გლეხები და იძულებული შეიქნა უკან დაბრუნებულიყო.

მეორე ლაშქრობა კაზიევმა მოაწყო სოფ. ერედვში, წინადადება მისცა გლეხებს ჩაწერილიყვნენ გვარდიაში ან იარაღი დაეყარათ. უარის მიღების შემდეგ კაზიევმა სოფელს სროლა აუტეხა ტყვიამფრქვევებიდან და მთელ რაიონში სამხედრო წესები გამოაცხადა.

შექმნილი მდგომარეობის გამო რევოლუციურ გლეხთა კავშირის აღმასრულებელმა კომიტეტმა სოფ. ჯავათში დანიშნა ყველა მახლობელ სოფლის მიტინგი, რომელზედაც უნდა გარჩეულიყო საკითხი — ჩაებარებიათ თუ არა იარაღი?

მიტინგმა ერთხმად დაადგინა— იარაღი არ დაეყარათ და ულტიმატუმით მიმართა მენშევიკებს—წაეყვანათ ოსეთიდან კაზიევი.

აჯანყებულთა რიგები დღითიდღე იზრდებოდა. აჯანყებულები გარს შემოერტყენ ცხინვალს. მენშევიკებმა გამოიწვიეს. არტილერია ქალაქში დადგეს ზარბაზნები, ტყვიამფრქვევები და 1918 წლის 16 მარტს უკვე ბრძოლა დაიწყო.

გ. კულუმბეგოვმა ნიშანი მისცა აჯანყებულებს იერიშით წამოსულიყვნენ ქალაქზე. მენშევიკებმა იერიში მოიგერიეს, კულუმბეგოვი შეიპყრეს, შეკრეს თოკებით და უნდოდათ დაეხვრიტათ, მაგრამ მაშინდელ გამომძიებლის რაჟდენ გაგუას და გიორგი გაგლოევის დახმარებით ის დახვრეტას გადარჩა.

მეორე დღეს აჯანყებულები კვლავ შეტევაზე გადავიდნენ და რამდენიმე ადგილას გაარღვიეს მენშევიკების ფრონტი. ბრძოლა გაჩაღდა ქალაქის ქუჩებზე. მენშევიკები დამარცხდნენ. მათი ხელმძღვანელები კოსტა კაზიევი, გიორგი მაჩაბელი და სანდრო კეცხოველი მოკლულ იქნენ. აჯანყებულებმა ტყვედ წაიყვანეს 400-ზე გვარდიელი და ხელთ იგდეს დიდძალი იარაღი. საგრძნობი მსხვერპლი იყო აჯანყებულთა მხრიდანაც. ასე, მაგალითად, ბრძოლის დროს დაიღუპა 1905 წლის ერთერთი ცნობილი რევოლუციონერი **ასლან კორაევი.** როგორც ამბობენ, ის მენშევიკმა გ. მაჩაბელმა მოკლა მაუზერით.

აჯანყებულები შეუდგნენ წესრიგის დამყარებას ქალაქში. ამ დროს მენშევიკებმა თავი მოუყარეს დიდძალ ჯარს და გენერალ კონიევის და ვალ. ჯუღელის მეთაურობით შეესიენ ოსეთის სოფლებს. ბრძოლა გაჩაღდა ცხინვალის ირგვლივ. კონიევმა ზურგიდან მოუარა აჯანყებულებს და შეიჭრა ქალაქში. აჯანყებულებმა დაიხიეს ჯავის ხეობისაკენ. კულუმბეგოვი კვლავ დააპატიმრეს, გაგზავნეს გორში და იქ გაასამართლეს.

ამის შემდეგ აჯანყებულებსა და მენშევიკებს შორის „ზავი" ჩამოვარდა.

1918 წლის 30 ივლისს ჯავაში დაარსდა რ.კ.პ.(ბ) სამხრეთ-ოსეთის ორგანიზაციის ორგბიურო ამხ. **ვ. სანაკოევის, ხ. გაგლოევის და არონ ფლეიევის** შემადგენლობით.

1918 წელს შეიკრიბა სამხრეთ-ოსეთის ხალხთა მეექვსე ყრილობა. 30 ადგილიდან ახლად არჩეულ საბჭოში 19 ადგილი ბოლშევიკებმა დაიპყრეს, ბოლშევიკურმა ფრაქციამ ბოიკოტი გამოუცხადა დამფუძნებელი კრების და ერობის არჩევნებს და წინადადება მისცა გლეხებს არ მიეცათ მენშევიკებისათვის გადასახადები.

1919 წლის მაისში მენშევიკებმა სამხრეთ-ოსეთში გაგზავნეს დამსჯელი რაზმი გენერალ ყარალაშვილის და გორის სამაზრო კომისრის ქარცივაძის მეთაურობით, გარეკეს ეროვნული საბჭო და შეუდგნენ მოსახლეობის ძარცვას. ამან კიდევ უფრო გააძლიერა კომუნისტური პარტიის გავლენა მასებში.

1919 წლის 12 ივნისს ჯავაში შესდგა კომუნისტური პარტიის პირველი კონფერენცია, რომელმაც დაადგინა დაწყებული იქნას **მზადება საერთო შეიარაღებულ აჯანყებისათვის.**

იმავე წლის დეკემბერში ოსეთს კვლავ შეესია მენშევიკური ჯარები ხიმშიაშვილის და ქარციძის მეთაურობით. აჯანყებულებმა უკან დაიხიეს ტყეებისაკენ.

ამ დროს ოსეთამდე მიაღწია ამბავმა, რომ ბოლშევიკები უახლოვდებიან კავკასიას. გაიგეს რა ეს, 400-ზე აჯანყებული ამხ. **ლადო სანაკოევის** მეთაურობით 1920 წლის 18 მარტს გადავიდა ზიკარის უღელტეხილზე და შეუერთდა წითელ ოსურ რაზმს, რომელსაც ამხ. **მათე სანაკოევი** ხელმძღვანელობდა.

ამ ხანებში როკის ხეობაში იფეთქა ახალმა აჯანყებამ მენშევიკების წინააღმდეგ. აჯანყებულებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ ბოლშევიკები, მალე დაამარცხეს მენშევიკები და გამართეს ცხინვალისაკენ, რომელიც აიღეს 7 ივნისს. **8 ივნისს ცხინვალში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება.**

მენშევიკებს ამ დროს ომი ჰქონდათ აზერბაიჯანთან. მათ მოხსნეს ფრონტიდან ჯარის ნაწილი და ოსეთში გადაისროლეს. 12 ივნისიდან მენშევიკები შეტევაზე გადავიდნენ. მათ ზარბაზნები დაუშინეს სოფლებს. მენშევიკებს ჰყავდათ სპეციალური ნაწილები, რომლებიც ცეცხლს უკიდებდნენ სოფლებს. მთელი მოსახლეობა მთებში გაიხიზნა. 23 ივნისს მათე სანაკოევმა უკანასკნელი ბრძოლა გაუმართა მენშევიკებს და თავისი რაზმით ჩრდილოეთ ოსეთში გადავიდა.

შემდეგში ეს რაზმი იბრძოდა გენერალი ხვოსტიკოვის თეთრგვარდიელ ბანდის წინააღმდეგ, პირველი ბრძოლა ოსებმა მოიგეს, მაგრამ შემდეგ მეთაურების ღალატის გამო რაზმი ჩიხში მოექცა და 200 კაცი ნაკუწ-ნაკუწად აქციეს თეთრებმა.

1921 წელს სამხრეთ-ოსეთის რაზმი ამხ. **ს. გაგლოევის** მეთაურობით ჩრდილოეთ-კავკასიიდან კვლავ დაბრუნდა სამხრეთ-ოსეთში, სადაც იმ ხანებში საბოლოოდ გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ.

ორი დამახასიათებელი ეპიზოდი.

მენშევიკებმა ცეცხლითა და მახვილით გაიარეს მთელი ოსეთი. მათ გადასწვეს სოფლები ფრისი, კვერნეთი, კლეხრეთი ტბეთი და ყველა სოფელი როკის ხეობაში, სადაც ქვა - ქვაზე არ დაუტოვებიათ. სახლებთან ერთად ცეცხლს ალს აძლევდნენ მოხუცებულებსაც და ბავშვებსაც.

მენშევიკების სიმხეცის დამახასიათებლად საკმარისია მოვიყვანოთ ორი შემთხვევა: ტყვედ ჩავარდნილ **ვახიკო ჯიოევს** სოფ. ცუნარიდან ჯერ მოსჭრეს ყურები, შემდეგ ცხვირი, ბოლოს თვალები ამოთხარეს.

უკან დახევის დროს, ჯავასთან ერთმა ქალმა ვეღარ შესძლო სიარული და ბუჩქს შეაფარა თავი. მას წამოეწია ჯალათი მენშევიკების გვარდიელი, მოაჭრა ხმალი და ნახევარი თავის ქალა წააცალა.

ასეთ მაგალითებს მასობრივი ხასიათი ჰქონდა.

(სამხრეთ - ოსეთის მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტის მასალებიდან).

ოსური მხატვრული ლიტერატურა

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ოსური მხატვრული ლიტერატურა თითქმის არ არსებობდა. მის განვითარებას მძლავრი იმპულსი მისცა აგრეთვე ლათინური ალფაბეტის შემოღებამ.

ამჟამად ოსური მხატვრული ლიტერატურა ბევრ ნიჭიერ მწერალს ითვლის. განსაკუთრებით სწრაფად გაიზარდა ოსური ლიტერატურა და მნიშვნელოვან რიცხობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს მიაღწია საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის 23 აპრილის ცნობილი დადგენილების შემდეგ.

თუ რამდენად გაიზარდა სამხრეთ-ოსეთის მწერალთა შემოქმედებითი აქტივობა, ჩანს იქიდანაც, რომ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ყველა მწერალმა მოგვცა საკუთარ ნაწარმოებათა კრებული.

ოსური პოეზიის დარგში მუშაობენ პოეტები **კოჩიევი, ქ. პლიევი, სოსლან გაზაევი,** ერთადერთი მწერალი — ქალი ოსეთში **ნინა გალუანოვა, ჩერმენი, ფარნიონი** და სხვები.

პროზის დარგში მუშაობენ **ჩერმენ ბეგიზოვი, კულაევი, გესა პლიევი, ფარნიონი** და სხვ. წინად არა მარტო სამხრეთ - ოსეთმა, არამედ საერთოდ ოსურმა ლიტერატურამ არ იცოდა ისეთი მსხვილი ლიტერატურული ტილო, როგორიც არის რომანი. ახლა კი უკვე რამდენიმე რომანი არსებობს ოსურ ენაზე.

ვითარდება დრამატურგიაც. ოსურ ენაზე არსებობს პიესები „ოქტომბრის დროშით", „ვინ-ვის", „სოფელი დაიძრა" და სხვ. ამას გარდა ოსური სახელმწიფო თეატრისათვის გადათარგმნილია კირშონის „პური", სინოვსკის „ბედი", შკვარკინის „სხვისი ბავშვი", ა. კლაძის „ხატიჯე".

სამხრეთ - ოსეთის საბჭოთა ლიტერატურა ეხება თითქმის მთელ აქტუალურ თანამედროვე თემატიკას, სოციალისტური მშენებლობის ყველა პრობლემას.

ნახატი მიხარბეკ ტუგანოვის



1920 წ. მენშევიკების მიერ სამხრეთ-ოსეთის 13 კომუნარის დახვრეტა

მდგომარეობა ჩრდილოეთ ჩინეთში

ტოკიო, 3 ივნისი. იაპონური პრესის გადმოცემით, მდგომარეობა ჩრდილოეთ - ჩინეთში კვლავ დაძაბულია. გაზეთები აღნიშნავენ: ნანკინის ბელადთა კონფერენცია, რომელმაც საბოლოოდ უნდა განსაზღვროს ნანკინის მთავრობის პოზიცია იაპონიის მოთხოვნებისადმი, ხანკოუში მხოლოდ 10 ივნისს შესდგება.

ამავე დროს ჩრდილოეთ - ჩინეთში მყოფ იაპონელთა სამხედრო ხელისუფალთ, რომლებსაც „დაკისრებული აქვს კონფლიქტის გადაჭრა", აშკარად არ სურთ საკითხების ადგილობრივი გადაწყვეტა. დემპო ცუსინის სააგენტო გაფრთხილებას იძლევა: თუ ჩინეთი არ მიიღებს იაპონიის მოთხოვნას გაიყვანოს დემილიტარიზებული ზონიდან ჩინეთის ჟანდარმერთა „ნაციონალური განთავისუფლების კორპუსი" და „ლურჯხალათიანები", რომლებიც „მანჯოუგოს მუდმივობას არღვევენ", — იაპონია მაშინ ამ ორგანიზაციათა წინააღმდეგ გადამწყვეტ ნაბიჯებს გადადგამსო. შტაბის უფროსმა საკაიმ განაცხადა: „ჩრდილოეთ - ჩინეთს შეუძლია იარსებოს ჩანკაიშის და მისი თანამოაზრეებისაგან დამოუკიდებლადაც". თუმცა იუი სიუე-ჩუნის გადაყენება აუცილებელია, განაგრძობს საკაი,— „მაინც, რამდენადაც საკითხი ჩრდილოეთ - ჩინეთს ეხება, ჩან კაი-შის გავლენა უნდა მოისპოს". პოლიტიკურ წრეებში საკაის ეს განცხადება ფრიად დამახასიათებლად მიაჩნიათ, ვინაიდან იგი ამჟღავნებს, რომ ჩან კაი-შის უკანასკნელი ღონისძიებანი გუიჯოუს, იუნანის და სიჩუანის პროვინციებში ადმინისტრატიულ ორგანოთა რეორგანიზაციის დარგში დაკავშირებულია ჩრდილოეთ - ჩინეთში მყოფ იაპონელი მილიტარისტების უკანასკნელ მოთხოვნებთან.

სიმბუნრენგოს სააგენტოს ტიანძინელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ 2 ივნისს დაიწყო ხებეის პროვინციული მთავრობის ყველა ორგანოს გადაყვანა ბაოდინში, მაგრამ თვითონ იუი სიუე—ჩუნს გადადგომის წინ განზრახვა აქვს გაემგზავროს ჩან სიუე-იანთან ხანკოუში. „ასახის" შანხაელი კორესპონდენტი აცხადებს:

ნანკინის მთავრობა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შეუძლებელია იაპონიის მოთხოვნათა დაუყოვნებლივ შესრულება, და გადაწყვიტა წინადადება მისცეს იაპონიას დაიწყონ მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ ნანკინის მთავრობამ თანდათანობით განახორციელოს იაპონიის მოთხოვნები ჩრდილოეთ-ჩინეთის მიმართ, ნანკინის მთავრობა, — წერს კორესპონდენტი, — უწინარეს ყოვლისა გადააყენებს იუი სიუე—ჩუნს და მის ჯარებს გადაიყვანს სამხრეთისაკენ, ხოლო შემდეგ შეუდგება გომინდანის აქტივობის ლიკვიდაციას ჩრდილოეთ ჩინეთში და გაიყვანს ნანკინის ჯარებს და ჟანდარმერიას. (ადს).

პოლონეთის სოფლის კატასტროფული მდგომარეობა

ვარშავა, 3 ივნისი. „ვიერ ვარშავსკის" განცხადებით, შიმშილობა სოფლად განსაკუთრებით ფართო ხასიათს ღებულობს. გლეხების მდგომარეობას ცხადჰყოფს ურთიერთ დახმარების ისეთი ფორმების სულ უფრო და უფრო განვითარება, როგორიცაა „თითო კარტოფილის ძმობის" ორგანიზაცია, რომლის წევრები თავის დამშეულ მეზობლებს სწირავენ თითო კარტოფილს. ცენტრალურმა ხელისუფლებამ მხოლოდ ამ ბოლო დროს მისცა წინადადება საოლქო და სამაზრო ორგანოებს შეუდგნენ სახსრების შეგროვებას დამშეულთათვის. (ადს).

თურქეთის რესპუბლიკის ელჩის ბ-ნ ვასიფ ჩინარის ცხედრის გაცილება

მოსკოვი, 4 ივნისი. 4 ივნისს გააცილეს თურქეთის რესპუბლიკის ელჩის ბ-ნ ვასიფ ჩინარის ცხედარი.

საღამოს 5 საათსა და 30 წუთზე თურქეთის საელჩოს შენობასთან ჩამწკრივდა საკავშირო ცაკის სახ. გაერთ. სამხედრო სკოლის კურსანტებისაგან შემდგარი საპატიო ყარაული და სტალინის სახ. პირველი განსაკუთრებული დივიზიონი.

განსვენებული ელჩის ცხედრის გასაცილებლად თურქეთის საელჩოს დარბაზში შეიკრიბნენ საკავშირო ცაკის თავმჯდომარის ამხ. მ. ი. კალინინის წარმომადგენელი ამხ. **ვ. ა. მიაგკი,** ამხ. **მ. მ. ლიტვინოვი, ა. პ. როზენგოლცი, ნ. ნ. კრესტინსკი, ბ. ს. სტომონიაკოვი, მ. მ. კაგანოვიჩი, შ. ელიავა, ა. ი. ეგოროვი, ს. მ. ბუდიონი, ვ. მ. ორლოვი, ი. ა. ხალეპსკი, რ. პ. ეიდემანი** და სხვ.

დაესწრნენ აგრეთვე—დიპლომატიური კორპუსი მთელი შემადგენლობით უხუცესი—იტალიის ელჩის ბ-ნ ატოლიკოს მეთაურობით, სამხედრო ატაშეები, სახალხო კომისარიატების, საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენელნი, მეცნიერები, ხელოვნების მუშაკები და კერძოდ სსრ კავშირის დიდი თეატრის მსახიობები რომლებიც ამ ცოტა ხნის წინათ იყვნენ თურქეთში, საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენელნი. და სხვ.

დარბაზში გაისმის მუსიკის სამგლოვიარო ჰანგები. განსვენებული ელჩის კუბოსთან იცვლება საპატიო ყარაული. 5 საათსა და 55 წუთზე საპატიო ყარაულის უკანასკნელ ცვლაში დგებიან: ამხ. **მ. მ. ლიტვინოვი,** დიპლომატიური კორპუსის უხუცესი—იტალიის ელჩი ბ-ნ **ატოლიკო,** ავღანეთის ელჩი ბ-ნი **აბდულ ჰუსეინ ხან-აზიზი,** რუმინეთის ელჩი ბ-ნი **ჩიუნტუ.**

6 საათზე კუბო ჩამოიღეს პოსტამენტიდან, გამოასვენეს საელჩოდან და დაასვენეს ლაფეტზე. თურქეთის სამხედრო ატაშეს კაპიტან ერვერს მოაქვს განსვენებული ელჩის საბრძოლო ორდენი „დამოუკიდებლობის მედალი".

სამგლოვიარო პროცესია მიემართება აჯანყების მოედნისაკენ და იქიდან კურსკის სადგურისაკენ. სამგლოვიარო პროცესია თითქმის ერთ კილომეტრზეა გაჭიმული.

კუბოს მიჰყვებიან თურქეთის საელჩო, სსრ კავშირის მთავრობის წევრები, მისიების შეფები, დიპლომატიური კორპუსის დანარჩენი წევრები, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის და სხვა სახალხო კომისარიატების პასუხისმგებელი მუშაკები, თურქების კოლონია, საბჭოთა საზოგადოებრიობის მეცნიერები, ხელოვნების წარმომადგენელნი.

პროცესიას ახლავს ქვეითი ათასეული და კავალერიის ორი ესკადრონი, სამხედრო ორკესტრები განუწყვეტლივ უკრავენ სამგლოვიარო მარშს.

მთელ მანძილზე თურქეთის საელჩოდან კურსკის სადგურამდე ქუჩის ორივე მხარეზე ჩამწკრივებული არიან მოსკოვის მშრომელნი, რომელნიც დუმილით უკანასკნელ პატივს სცემენ საბჭოთა კავშირის მეგობარ თურქეთის ელჩს.

8 საათსა და 15 წუთზე სამგლოვიარო პროცესია მივიდა კურსკის ვაგზლის მოედანზე. კუბო ჩამოასვენეს ლაფეტიდან და გადაიტანეს ვაგზლის პერონზე. აქ ჩამწკრივებულია სამხედრო - სატრანსპორტო აკადემიის კურსანტებისაგან შემდგარი საპატიო ყარაული. ვაგზალში ყველგან დაშვებულია დროშები. პროცესია ჩერდება მატარებელთან, რომელიც მზად არის წასასვლელად. კუბო ცხედრით დაასვენეს სამგლოვიარო ვაგონში. ვაგონი იხურება, რამდენიმე წუთს გრძელდება დუმილით გამოთხოვება. 8 საათსა და 30 წუთზე მატარებელი დინჯად მიდის სადგურიდან და თან მიაქვს თურქეთის რესპუბლიკის ელჩის ცხედარი სევასტოპოლში, საიდანაც საბჭოთა სამხედრო გემი ცხედარს წაასვენებს თურქეთში (ადს).

ამხ. ი. ვ. მიჩურინის ჯანმრთელობა

მოსკოვი, 4 ივნისი. ვორონეჟიდან 4 ივნისს მიღებული დეპეშიდან ჩანს, რომ ი. ვ. მიჩურინის მდგომარეობა ძალიან მძიმეა. მაჯისცემა 1104—სუსტი. ავადმყოფი დროგამოშვებით გრძნობს კარგავს, უკეთებენ ქაფურს და ფიზიოლოგიურ ხსნარს. ჩატარდა მთელი რიგი განმეორებითი კონსილიუმები. მოსკოვიდან კვლავ გაიგზავნა მედიცინის ცნობილი სპეციალისტები.

4 ივნისს ი. ვ. მიჩურინის სანახავად გაემგზავრა ვორონეჟის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ორლოვი. (ადს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორდენოსან აზერბეიჯანის პოეტები ამ დღეებში ესტუმრებიან საქართველოს



საბჭოთა აზერბეიჯანის პოეტები: მარცხნიდან მარჯვნივ: ჰუსეინ ჯავიდი, აბდულა შაიქ, სულეიმან რუსტამი, მიქაელ რაფილი, სამედ ვურგუნი, პოეტი ქალი მირვარიდ დილბაზი, მიქაელ მუშვიკი და რაჰიმი.

ღირსეულ სტუმრებს—ღირსეული შეხვედრა

ახლო ხანში ტფილისში ჩამოვლენ ორდენოსანი საბჭოთა აზერბეიჯანის პოეტები. კარგა ხანია ჩამოვიდენ და ეცნობიან საბჭოთა საქართველოს ბელორუსიელი მწერლები. მოძმე რესპუბლიკების ეს კულტურული დაახლოვება და მჭიდრო კავშირი, კერძოთ მათი ლიტერატურის მუშაკთა კავშირი, რაც კიდევ უფრო ამტკიცებს შრომელთა ინტერნაციონალური სოლიდარობის იდეას, მით უმეტეს საჭიროა და აუცილებელია ამჟამად, რადგან საბჭოთა მწერლების პირველ ყრილობაზე ერთხელ კიდევ ნათლად გამოაშკარავდა, რომ ჩვენი დიდი ქვეყნის ნაციონალური რესპუბლიკების მშრომელები ნაკლებად იცნობენ ერთმანეთის ისტორიას და კულტურას.

მაქსიმ გორკიმ ყრილობაზე პირდაპირ და მკვეთრად დააყენა სხვადასხვა საბჭოთა რესპუბლიკების ლიტერატურის მოწინავე მუშაკთა მჭიდრო კავშირის საკითხი და დასახა ამ დაახლოვების პრაქტიკული გზა მწერალთა შემოქმედებითი მივლინებების სახით, რამაც ხელი უნდა შეუწყოს სოციალისტურ მშენებლობის ფრონტზე მოძმე ეროვნებათა წარმატებების და მათი კულტურის ურთიერთ გაცნობას და მათ უფრო მეტად დაახლოვებას, „ოდესღაც, ძველად მშრომელთა ზეპირი მხატვრული შემოქმედება იყო მათი გამოცდილების ერთად-ერთი ორგანიზატორი, იდეების ხორცსხმა სახეებად, და კოლექტივის შრომის ენერგიის აღმგზნები". — ამბობს ალექსეი მაქსიმესძე.

ჩვენი საბჭოთა ლიტერატურა, როგორც პროლეტარიატის საერთო საქმიანობის განუყოფელი ნაწილი და სოციალისტური მშენებლობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო უბანი, მოძმე რესპუბლიკათა ლიტერატურული გამოცდილების ორგანიზაციით და ურთი-ერთ გაცნობით ხელს უნდა უწყობდეს სოციალისტური კულტურის შემდგომ აყვავებას.

სწორედ ეს მომენტი უდევს საფუძვლად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მიერ მოძმე თურქ პოეტების მოწვევას. ეს ინტერესი ამოძრავებთ ბელორუსიელ მწერლებსაც, როდესაც ისინი აღტაცებული ათვალიერებენ და სწავლობენ ჭიათურის მაღაროებს, კოლხეთის სამუშაოებს, შირაქის ველს და სუბტროპიკულ პლანტაციებს. ისინი მიდიან ყველგან, რათა უშუალოდ გაეცნონ ორდენოსანი საქართველოს სოციალისტურ შრომას, **ადამიანებს,** რომლებიც აშენებენ უკლასო საზოგადოებას და ახალი მხატვრული სახეებით კიდევ უფრო გაამდიდრონ საბჭოთა ლიტერატურა.

მოძმე აზერბეიჯანის პოეტების ჩამოსვლა და ლიტერატურული გამოცდილების ურთიერთ გაზიარება არის კიდევ ერთი საფეხური ა.-კ. მშრომელთა მჭიდრო ინტერნაციონალური კავშირის შემდგომი განმტკიცების გზაზე.

საქართველოს მუშები და კოლმეურნეები, რომლებიც დიდად აფასებენ მოძმე აზერბეიჯანის მშრომელებს და მათი კულტურის ძვირფას საგანძურს ღირსეულად შეხვდებიან სასახელო სტუმრებს.

ვ. ჩ.

თურქული პოეზიის დეკადა

თურქული პოეზიის დეკადა ტფილისში დაიწყება 15 ივნისს. მოსამზადებელი მუშაობა უკვე მთავრდება. ცნობილმა ქართველმა პოეტებმა სთარგმნეს აზერბეიჯანის კლასიკოსების, აშუღების და თანამედროვე საბჭოთა პოეტების სანიმუშო პოეტური ნაწარმოებნი.

15 ივნისისათვის ბაქოდან ტფილისში ჩამოვლენ **ჰუსეინ ჯავადი, სანილი ჰაჯი-ქერიმ, სულეიმან რუსტამი, სამედ ვურგუნი, რაფილი, ალი ნაზიმი, ჰუსეინოვ მამედ რაჰიმი, მუშვიკი, ჯაფარ-ხანდან,** პოეტი ქალი დილბაზი და სხვ.

პირველ დღეს, 15 ივნისს, გაიმართება ქართველ მწერლებთან შეხვედრის საღამო შემდეგი პროგრამით: სახ. განათლების კომისარის და მწერალთა კავშირის თავმჯდომარის — **ამხ. აკ. თათარიშვილის** შესავალი სიტყვა; ქართველი პოეტების მისალმებანი; თურქი კრიტიკოსის **ალი ნაზიმის** მოხსენება თანამედროვე აზერბეიჯანულ პოეზიაზე.

შემდეგ მწერლები და მსახიობები წაიკითხავენ ქართულად თარგმნილ აზერბეიჯანულ კლასიკოსების და აშუღების — **ვაგიფის, ვიდადის, მირზა ფატალი ახუნდოვის, ზაქირის, საბირის, აშუღ ჰუსეინის** და სხვების ლექსებს.

საღამოს მეორე განყოფილება მიეძღვნება აზერბეიჯანის თანამედროვე პოეზიას; ლექსებით გამოვლენ პოეტები: **ჰუსეინ ჯავადი, სანილი, ს. რუსტამი, ვურგუნი, რაჰიმი, მუშვიკი, დილბაზი.**

ამ ავტორების იმავე ლექსების ქართულ თარგმანებს წაიკითხავენ **ნ. ზომლეთელი, კონსტ. ჭიჭინაძე, ტიციან ტაბიძე, კ. ნადირაძე, პაოლო იაშვილი, იოსებ გრიშაშვილი, გრ. ცეცხლაძე, გ. ლეონიძე, მიქ. პატარიძე, დ. გაჩეჩილაძე, ვალ. გაფრინდაშვილი, ირაკლი აბაშიძე** და მსახიობები.

საღამო ტრანსილირებულ იქნება რადიოთი.

ამავე პროგრამით პოეზიის საღამო გაიმართება ორჯონიკიძის სახ. კულტურის და დასვენების პარკში და ნარიმანოვის სახ. კლუბში. მოეწყობა აგრეთვე აზერბეიჯანის პოეტების გამოსვლა რადიოში.

ჰ. სანილი

ჰაეროპლანიდან

(ადგილი პოემიდან)

ცისფერი სივრცეებით, ფოლადის თვითმფრინავი.
ჩემ სამშობლო მხარეზე მიმაქროლებს მგრგვინავი:
ვხედავ — ძირს ქვეყანაა, ხუთმეტი წლის ნაჟგები,
გულს ახარებს მიღწევა ნაშრომ — ნაამაგები.
ვხედავ — კოლმეურნეებს წაუშლიათ ზღვარი და
თრთის, ცახცახებს ჰაერი მანქანების ქარიდან.
ყვითელ მტკვრის და არაქსის ჩაბნელებულ ხეობას.
ბამბა, ბამბა ანათებს, როგორც თეთრი მზეობა.
და სად იზლაზნებოდა ჭრელი ჯარი გველების,
თოვლის ფერად ბრწყინავენ იქ მულანის ველები.
ახლა იქ სოფლებია გარს შემორტყმულ ბაღებით,
შორს გაშლილი სოფლები, ქალაქს შესადარები.
ჯებირებით შერკალეს მტკვრის, არაქსის ნაპირნი,
თითქოს გაჭრილ ბედაურთ მოახვიეს ქამანდი.
ვერასოდეს გადმოვლენ მაღალ, კლდე-ნაპირიდან,
მხოლოდ მინდვრებს გასცქერენ მხეცებივით, ირიბათ.
და ბამბის თითო ბუჩქებში, როგორც ცეცხლის ალები,
წითელ ფერად ანთია ქალთა თავსაფარები.
ბასთიმ განა ტყუილად მოიხვეჭა სახელი,
მას რიყრაყით ხვდებოდენ ცანი მოცახცახენი;
ახლაც იმას მიბაძეს კოლმეურნე ქალებმა,
თავის ბეჯით შრომაში მხნე და შეუმკრთალებმა.
კიროვაბადს ველარ ვცნობ, ახლა თავს რომ გადავჭრი,
(წინათ განჯას იძახდენ, ძველი იყო ქალაქი).
სადღა არის წარსულის ფლოლი, ციებ-ცხელება,
შმორიანი ბაზარი, ლამე ძონძის ფერებით.
სასაფლაო ნგრეული, სახლებს შორის ჩენილად,
დღეს იმ ძველი ქალაქის კვალიც აღარ შთენილა..
იზრდება და ბრწყინდება, სხვა ქალაქი გამხდარა,
იქ ჩითები, მაუდი, აგურ ზეთის ქარხანა.
და ფსკერზე განცვიფრებით გიანჯა — ჩაის მდინარე,
ხატავს ახალ ტრამვაებს მწვანეთ რომ მიზზინავენ.
ჰა ევლახიც, განთქმული მალარიის ჭაობათ,
ჩანს ახალი სახლებით, როგორც სანახაობა.
დაუშრიათ ჭაობი და გომურთა სიბნელე....
ფართო ქუჩის კიდლები ოქროს შუქებს იბნევენ.
და იქ, სადაც ბალახი მწირ მიწაზე ხმებოდა,
გაჭიმულა ტურუტის საბჭოთა მეურნეობა.
ვხედავ კომბაინებმა ღამეების თენებით,
ჩვენთვის ოქროს ხორბალი დაახვავეს მთებივით.
წინათ, ძველი ყაზახის მეცხვარეობის მნახველი
სად კოლმეურნეობას აქვს ბერიას სახელი.
საითაც არ გახედავ, მზე აბრაზე თამაშობს.
კლუბი, საავადმყოფო, სკოლა, ბაღი საბავშო,
აგურხანა, წისქვილნი, თეთრი ნაპერწკლებითა,
იქ ცეცხლის ალს აჩენენ კიხრიზის წყლებიდან.
ლურჯ სივრცეში, ცის თაღზე აი, შევხედი განთიადს.
ვუმზერ მთები, მდინარე ძირს კაშკაშით ანთია.
ჩემს მხარეში დღეთ მოჩანს ღამეც ფერის-ცვალებით.
ანათებენ სოფლები ელნათურის თვალებით.
ჩემი ქვეყნის ხატება ცინცხალია, ახალი,
ყველა რომ ვთქვა არ მყოფნის სიტყვა გამომსახავი.
ჩვენს სატახტო ქალაქზე რა ვთქვა, როგორ გიამბოთ,
შევძლებ მისი სურათი თქვენს წინ ავაკიაფო?
სულ ახალი ქუჩები, სასახლეთა მშვენებით,
ყოველ მხრიდან ტრამვაი მოჰქრის შეუჩერებლივ,
ზღვასთან ხეივანია, ბრწყინვალებით გაოცებს,
ბაღი ამწვანებულა იქ, ძველ სასაფლაოზე.
მუშის ხელით შექმნილო, შრომით უზარ-მაზარით,
ო, შენ ჩემო ქალაქო, უკან იხევს ხაზარი,
და მთელ ღამეს არ სძინავთ — შადრევანის ჩრდილებით,
შორს ალერსით გასცქერენ ილიჩს ჭაბურღილები.
ახალ გამარჯვებისკენ, გულში ცეცხლის მოდენით,
იამაყე, იარე, წინ ლენინის ორდენით.

თარგ. **დავით გაჩეჩილაძისა.**

სულეიმან რუსტამი

ღამის რომანტიკა

ღამის სიჩუმეს და მყუდროებას
ხშირად პოეტის ნაბიჯი ბზარავს.
არ მეძინება, ღამის დუმილი
ყურში წკრიალებს იდუმალ ზარად.
დაუძინარი, დაუსვენარი,
როგორც გამყოლი და ღამის გზირი
მე ბევრ ღამეებს ავედევნები
არ ეკიდება ჩემს თვალებს ძილი.
დავეხეტები, გულს და გონებას
თითქო ალი წვავს და ცეცხლი შეშლის
დავეხეტები, ჩემი ნაბიჯი
მხიარულობს და აბეზრობს ჩემში.
ახლაც ღამეა. კიდევ მარტო ვარ
ისევ დუმილი, ისევ ეს გზები.
მივალ, ვუღიმი სახლებს, სართულებს
არ მაშინებენ ისევ ლექსები.
ვარსკვლავთა შორის მიმოდის
მთვარე—
ამ ხეტიალში მგოსნის მხლებელი.
მივალ და ჩემკენ მოემართება
ღამე, მრავალის ჩამგონებელი.
და მკითხავს ღამე: „თქვენი
პაროლი".
ვეტყვი პასუხად—„დიდი ლენინი!
ჩემი კლასის და ჩემი ქვეყნისთვის
იგი პაროლად გვაქვს დადგენილი"
მივეშურები. ჩემი ფიქრები
კოცონს მაგონებს, ალს ედარება.
ზეცას გავცქერი და მისი ფერი
ჩემს მხედველობას შეეპარება.
ჰა, ვარსკვლავები, სულ ახლო, ახლო,
მათთან ახლოა ჩემი სახელიც.
მივალ და მიმყავს ვით თრეული
აჩრდილი—ჩემი გამომსახველი.
მომაქვს ამ გულით, ამ დიდ ღამეში,
რომელსაც სხივი არ ენანება,
აღფრთოვანება ჩვენი დღეების
და ჩემი ქვეყნის აღფრთოვანება.
მივეშურები და ჩემთან ერთად
მოცურავს მთვარე ვით დიდი თვალი.
რომანტიული ანკარა ღამე
დაღლილობისგან შეიქნა მთვრალი.
ვატყობ ღამეში ჩემმა ნაბიჯმა
ოდნავ დუმილის გახსნა კარები.
მივალ და ჩემს წინ აწრიალდება
გაფიცხებული ლექსთა ბწკარები.
ძინავთ შენობებს. მაგრამ
სარკმლიდან,
წინ რომ საყვარლის დგას სამყოფელად,
გაჩნდა ნათელი და ბინდს ღამისას
გულში ჩაეცა გასაპობელად.
ალბათ საყვარლის სახეს ნაოჭი
დაესია და გულს ვერ იამებს;
ჩემზე ოცნებობს: „ნეტავ სად არის,
რატომ არ მოდის, რად იგვიანებს".
აქ სხვა სარკმელთან ფიქრობს პოეტი.
ზის მეგობარი და იტანჯება,
ის თავდახრილი უმზერს მაგიდას,
გაუტაცია სიტყვის არჩევანს.
მან იცის, ალბად, სიტყვა მართალი
მხოლოდ უკვდავად უნდა გადასცეს
მათ, ვინაც იბრძვის ჩვენს ქვეყანაში
უკვდავ საქმეთა ბარიკადაზე.
აი შავთვალაც; კიდევ არ ძინავს,
მოჩანს მინაში შუქი უძლური,
კომკავშირელი ქალი სარკმელთან
და მის წინ მარქსი გადაფურცლული.
კიდევ ფანჯარა და ფანჯარასთან
ზის ინჟინერი. დგას მყუდროება.
მის წინ გეგმაში ჩანს განსაზღვრული
ამ დიად დღეთა უსაზღვროება.
არა, არა ვარ მარტო.—ჩემგვარად
აქ მეგობრებსაც, ვხედავ, არ ძინავთ,
მათი ფანჯრები ამ ჩემს ქვეყანას
ნათელს ესვრიან ნაწილ-ნაწილად.
ბინდი ილევა და ალიონის
სხივთა პირველი გაჩნდა კონები,
ღამევ, გესმოდეს: მეც დავიღალე
ფიქრით, ნაბიჯით და შთაგონებით,
და მდუმარ ღამეს ყურში ჩავძახი:
„დღე მოდის, ახლა სად იპარები"
სატრფოს სარკმელზე მივაკაკუნებ:
„კარგო, სალამი, გახსენ კარები".

თარგმანი **ირაკლი აბაშიძის.**

მირვარიდ დილბაზი

ყუბა

სადაც ზურმუხტით მორთულ მთის ფერდზე
ვაშლის ბაღები გადაფენილა,
მთა სჩანს ამაყად, ვით ძუძუ მკერდზე,
დროს შვენებაც რომ ზედ დაჩენილა.
კოხტად გაშლილხარ, ქალაქო ყუბა,
უმშვენიერეს ქალის იერით,
გშვენის საბჭოთა წითელი ჯუბა,
და მშენებლობის დიდ სიძლიერით
ზურგს აქცევ წარსულს, სევდიანს წარსულს,
როცა აჯამი გფლობდენ ხანები,
და იმათ ყოფას იტევდენ თარსულს,
დარბაზები და ჰარამხანები...
აქ ბრძანებლობდა ბეგი ყოველი,
ხალხის ორგული და მოღალატე,
და იყო მიწა ცრემლით სოველი,
და ყოველი ქვა, ყოველი ფლატე,
დევნილი და თან ამბოხებული,
შურისძიებით შეღაღადებდა,
და ჰქონდა გული აოხრებული,
მაგრამ მალამოს არვინ გადებდა....
პირიქით, ციხე—კოშკებს აგებდენ,
შიგ რომ ეწიათ ბედითი ბედი,
ქვებზე ქვებს თითქოს განგებ გადებდენ,
რომ დაეთრგუნათ ამაყი ქედი!
რომ ტყავი შენგან ათკეც ეხადათ
და ზედ ებურათ ძაძა და ფლასი,
და გყვლეფდენ ისე, როგორც ეწადათ,
მუქთახორათა გჩაგრავდა კლასი!...
მაგრამ შენც ერთხელ ალსდექ, აზვირთდი,
დაეცი რისხვა მუქთა მჭამელებს,
შეიმსუბუქე წარსულის ტვირთი,
გულიც დანთებულ ცეცხლს არ ანელებს!...
წინ წამოდექი ძლევამოსილი
რევოლუციით, ბრძოლით და შრომით,
ამ შრომაშია შენი ქორწილი
და სიძლიერეც ამაყი ნდომით!...
კომუნიზმია შენი სურვილი,
შენც ამ დიდ მიზანს ემსახურები,
და ყვავილებით მკერდ მობურვილი
ტურფა ქალივით გაიყურები!....

თარგმ. **ნ. ზომლეთელის.**

□ □ □ □ □ □ □



ტფილისში სამხატვრო გალერეაში გაიხსნა საბჭოთა კავშირის მხატვართა სურათების გამოფენა. სურათზე: მხატვარ **ბოგოროდსკის** ნახატი „ბუნავის სარეწაო № 25".

ა. შარიფი □ □ □ □ □ □

საბჭოთა აზერბეიჯანის პოეტები

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ინიციატივით ივნისის შუა რიცხვებში ტფილისში გაიმართება თურქული პოეზიის საღამო, რომელზედაც ერთმანეთს შეხვდებიან ორი მოძმე რესპუბლიკის —საქართველოს და აზერბეიჯანის პოეტები.

ეს საღამო ამიერ-კავკასიაში არის პირველი ნაბიჯი იმ მხრივ, რომ ა.-კ. ფედერაციაში შემავალი ერთი რესპუბლიკის ფართო საბჭოთა საზოგადოებრიობა ღრმად გაეცნოს მეორე მოძმე რესპუბლიკის პოეზიას. იგი იქნება ამიერ-კავკასიის ხალხთა იმ ძმური ერთიანობის კიდევ ერთი გამოხატულება, რომელიც დაიწყო ამიერ-კავკასიაში ხელისუფლების ყოფილ უზურპატორთა — კონტრრევოლუციურ და მოსყიდულ მუსავატისტთა, მენშევიკთა და დაშნაკთა გაძევების შემდეგ და აქ საბჭოების ხელისუფლების, მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სწორად გატარებამ, საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის 1932 წლის 23 აპრილის ისტორიულმა გადაწყვეტილებამ და ჩვენი პარტიის გენიალური ბელადის ამხ. სტალინის განსაკუთრებულმა ზრუნვამ ადამიანებზე, რომლებიც ჰქმნიან საბჭოთა სოციალისტურ კულტურას და კერძოდ ლიტერატურას, — უფართოესი შესაძლებლობა გადაგვიშალეს სოციალიზმის ქვეყნის ყველა დიდი თუ პატარა ხალხის ლიტერატურის ასაყვავებლად.

ამ ლიტერატურათა შორის უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს თურქულ ლიტერატურასაც, განსაკუთრებით პოეზიას, რომლისაც მრავალი საუკუნის ისტორია აქვს.

ამ პოეზიას საკმაოდ კარგად არ იცნობენ არათუ სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა მკითხველები, არამედ ამიერ-კავკასიის მშრომელთა ფართო მასებიც კი. თურქული პოეზიის თარგმანები სხვა ენებზე ძალიან ცოტაა, ხოლო ქართულ ენაზე თითქმის სულაც არ მოიპოვება.

თურქული პოეზიის საღამო, რომელსაც საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი აწყობს, უნდა გახდეს გადამწყვეტი გარდატეხის პუნქტი იმ მხრივ, რომ ამიერ-კავკასიის ხალხთა მშრომელები ახლოს გაეცნონ ერთმანეთის ლიტერატურას და პოეზიას. ამ საღამოზე ქართველი პოეტები წაიკითხავენ თურქული კლასიკური და საბჭოთა პოეზიის ნიმუშთა თარგმანებს, საღამოს პროგრამაში შეტანილია თურქული კლასიკური პოეზიის ისეთი კორიფეების ნაწარმოებნი, როგორიც არიან ვაქიფი, ვიდადი, ზაქირი საბირი და სხვა., თანამედროვე პოეტებიდან წარმოდგენილი იქნებიან ჰუსეინ ჯავიდი, სულეიმან რუსტამი, სამედ ვურგუნი, სანილი, მუშვიკი, რაფილი, მამედ რაგიმი, დილბაზი და ჯაფარ ხანდანი.

ამგვარად, თურქული პოეზია, რომელიც საღამოზე წარმოდგენილი იქნება მოიცავს დიდ პერიოდს მე-18 საუკუნიდან დღევანდლამდე.

საღამოზე წარმოდგენილი პოეტებიდან ყველაზე ძველია მოლა — პანახ ვაქიფი, რომელიც მე-18 საუკუნეში ცხოვრობდა და დასჯილი იქნა მოხუცების ჟამს 1797 წელს. ვაქიფი აზერბეიჯანის ერთერთი ფრიად პოპულარული ძველი პოეტია. ენის კეთილხმოვანობის, სილამაზის, გულწრფელობის და სიმარტივის გამო ვაქიფი მასების უსაყვარლესი პოეტი გახდა. ფართოდ ცნობილი თქმა „ყველას, ვინც კი მეცნიერებას სწავლობს, როდი შეუძლია გახდეს მოლა — პანახი" ამდენად ნიჭიერი ადამიანის განსწავლულობას გამოხატავს. მან დაგვიტოვა დიდძალი პოეტური მემკვიდრეობა, რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე საკმაოდ შესწავლილი არ არის.

ვაქიფი დაიბადა ყაზახის რაიონში შფოთიანობამ და არეულობამ, რომელიც მაშინდელ საქართველოს სამეფოში და მეზობელ სახანოებში სუფევდა, აიძულა იგი გადასახლებულიყო ყარაბახში, სადაც მას პირველ ხანებში ჰქონდა სკოლა, ზრდიდა და ასწავლიდა ბავშვებს. დასაწყისში იგი დიდ ნივთიერ ხელმოკლეობას განიცდიდა, მაგრამ მალე მისმა სახელმა, როგორც განსწავლული ადამიანის და ნიჭიერი პოეტის სახელმა, მიაღწია ყარაბახის მფლობელ იბრაჰიმ — ხან ჯერვანშირამდე, რომელმაც იგი დაიახლოვა. ვაქიფი ხდება ხანის პირველი მრჩეველი და მარჯვენა ხელი, დიდ სამსახურს უწევს მას თავისი გონიერი რჩევა-დარიგებით ყველა რთულ სახელმწიფო საქმეში.

1797 წელს აღა-მაჰმად-შაჰ კაჯარმა, რომელმაც იერიშით აიღო ყარაბახის სახანოს დედაქალაქი შუშა. ხანის მახლობელი ვაქიფი საპყრობილეში ჩაგდო და საგანგებო დასჯას უპირებდა. მაგრამ დასჯის წინადღით შაჰი მოკლეს თავისმა კარისკაცებმა და ვაქიფი კვლავ გაათავისუფლეს. შაჰის მოკვლის შემდეგ ყარაბახში ხელისუფლებას დაეპატრონა იბრაჰიმ-ხანის ძმისწული მეჰმედ ბეგი, რომელმაც სიკვდილით დასაჯა ვაქიფი და მისი შვილი — აგრეთვე პოეტი ალი-აღა, რათა თავიდან მოეშორებია წინანდელი ხანის, თავისი ბიძის იბრაჰიმ-ხანის მომხრეები.

ასე დაიღუპა აზერბეიჯანის ერთერთ უდიდესი პოეტი მოლა-პანახ ვაქიფი, რომელმაც უძლიერესი გავლენა მოახდინა აზერბეიჯანის როგორც მაშინდელი, ისე მერმინდელ პოეტებზე.

ვაქიფის პოეზიის ძირითადი შინაარსია ქალის სილამაზის ხოტბა, თავისი ეპოქის ცალკეულ ამბავთა და პირთა აღწერა და მიმოწერა მეგობრებთან — იმდროინდელ პოეტებთან, ამ უკანასკნელთა შორის იგი განსაკუთრებით დაახლოვებული იყო მოლა-ველი ვიდადისთან, ვიდადიც ყაზახელი იყო.

ზოგიერთი ცნობით, ვიდადი იყო ქართველი მეფის ერეკლე მეორის დაახლოვებული კაცი და მრჩეველი; სხვა უფრო სარწმუნო, წყაროების მიხედვით, იგი თავის მეგობარმა ვაქიფმა დაიბარა შუშაში და წარუდგინა იბრაჰიმ-ხანს, რომელსაც იგი, როგორც სწავლულ სასულიერო პირს, დიდი პატივისცემით ეპყრობოდა. მისი ცხოვრების დეტალები უცნობია. ამაზე შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ მხოლოდ მისი იმ ლექსების მიხედვით, რომლებიც ისტორიამ შეგვინარჩუნა. მოლა-ველი ვიდადი გარდაიცვალა 1809 წელს, როცა იგი 100 წელს გადაცილებული იყო. მან თავისი მეგობრის ვაქიფის შემდეგ 12 წელს იცხოვრა.

ვიდადის პოეზია თავისი თემატიკით ცოტათი განსხვავდება ვაქიფის პოეზიისაგან. მაგრამ განწყობილებით ისინი სულ სხვადასხვა პოეტები არიან. მაშინ, როცა ვაქიფი თავის ხალისიან ლექსებში შეაქებს სიცოცხლის მთელ სიტკბოებას, ვიდადი მუდამ უკმაყოფილოა, დასევდიანებულია და ცრემლებს აფრქვევს.

აზერბეიჯანის ფეოდალური ეპოქის პოეზიის ეს ყველაზე უფრო მკვეთრი წარმომადგენლები დიდი ხნის განმავლობაში ძლიერ გავლენას ახდენდენ თურქული პოეზიის შემდგომ განვითარებაზე. მათი მთავარი დამსახურება ის არის, რომ მათ, განსაკუთრებით ვაქიფმა, თვალსაჩინოდ გაწმინდეს პოეზიის ენა არაბული და ირანული გავლენისაგან, უფრო დაუახლოვეს იგი ხალხს და მოგვცეს ლექსთწყობის საუკეთესო ნიმუშები.

პოეტ ვაქიფის სახით თურქულმა პოეზიამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ ნამდვილ ხალხური თურქული პოეზიის შექმნის საქმეში.

პოეტ ზაქირის სახით აზერბეიჯანის პოეზია შედის თავისი განვითარების ახალ სტადიაში და ღებულობს ახალ მიმართულებას, როგორც ფორმით (სატირა) ისე თემატიკით (სოციალური საკითხები).

ზაქირი დაიბადა 1784 წელს (სხვა წყაროებით — 1773 წ.) შუშაში აზნაურის ოჯახში. თავის პოეტურ შემოქმედებაში ზაქირი მკაცრად აკრიტიკებს მეფის მოხელეებს, ბეგებს, ხანებს, ვაჭრებს, სამღვდელოებას და სხვა. მას ბრალი დასდეს მეფის მთავრობის მიერ დევნილი თავის ძმისწულის გადამალვაში. ზაქირმა მეფის ხელისუფლების მხრივ სასტიკი დევნა განიცადა. მისი ქონება მიწასთან გაასწორეს, ხოლო თვითონ იგი ციმბირში გადაასახლეს. მაგრამ საქმეში ჩაერივნენ მისი მეგობრები, განსაკუთრებით გამოჩენილი თურქი მწერალი და მოაზროვნე მ. ფ. ახუნდოვი, და ზაქირი შუაგზიდან დააბრუნეს სამშობლოში, სადაც გარდაიცვალა 80 წლისა.

ის ახალი, რაც ზაქირმა თურქულ პოეზიაში განვლილ საუკუნეში შეიტანა, მძლავრად გაიფურჩქნა ამ საუკუნის დასაწყისში უდიდეს პოეტ-სატირიკოსის, დემოკრატის და რევოლუციონერის საბირის სახით, რომელიც თურქულ ლიტერატურაში „მოლა ნასრედინის" სახელითაა ცნობილი; იგი რევოლუციურ დემოკრატიული მიმდინარეობის ერთერთი ყველაზე აქტიური მონაწილეა. საბირი დაიბადა 1862 წელს ქალაქ შემახაში. თავის პოეტური შემოქმედების პირველ პერიოდში ის განიცდიდა ძველი პოეზიის გავლენას და აზერბეიჯანის უდიდესი პოეტის სეიდ-აზიმ შირვანის მოწაფე იყო. მაგრამ სატირულ ჟურნალ „მოლა ნასრედინის" (1906 წელი) გამოსვლის შემდეგ, რომელმაც თურქული ლიტერატურის ისტორიაში მთელი ეპოქა შექმნა, საბირი შეიქმნა სახალხო პოეტის გიგანტურ ფიგურად, რომელიც თავისი სოციალური და პოლიტიკური სატირებით ამათრახებდა თავისი დროის მთელ სიდამპლეს. საბირი გარდაიცვალა 1911 წელს.

აღნიშნულ პოეტთა გარდა, აზერბეიჯანის კლასიკური პოეზია საღამოზე წარმოდგენილი იქნება აგრეთვე სახალხო აშუღების — შირიმ შიქეის, აშუღ — აბასის და აშუღ-ჰუსეინის ნაწარმოებთა ნიმუშებით, აგრეთვე მ. ფ. ახუნდოვის ერთი ლექსით ა. ს. პუშკინის სიკვდილზე.

ცხადია, ამ სახელებით სრულიადაც არ ამოიწურება სია ყველაზე უფრო გამოჩენილ-თურქი პოეტებისაც კი, რომელთაც შექმნეს აზერბეიჯანის ფრიად მდიდარი პოეტური საგანძური. მაგრამ მათ შემოქმედებასთან გაცნობასაც შეუძლია მოგვცეს გასაღები უკანასკნელი ორი საუკუნის თურქული პოეზიის განვითარების გასაგებად და წაგვახალისოს აზერბეიჯანის მდიდარი პოეტური მემკვიდრეობის შემდგომი, უფრო ღრმა შესწავლისათვის.

თანამედროვე პოეტებიდან საქართველოს საბჭოთა საზოგადოებრიობის გასაცნობად აზერბეიჯანი გზავნის ახალი საბჭოთა პოეზიის ყველაზე უფრო ძლიერ და ჩამოყალიბებულ შემოქმედთ, აგრეთვე ფრიად ნიჭიერ პოეტ-დრამატურგს ჰუსეინ ჯავიდს, რომელიც გარკვეულ პოლიტიკურ ფიგურად ჯერ კიდევ რევოლუციამდე ჩამოყალიბდა.

ჰუსეინ ჯავიდი, როგორც პოეტი, განიცდიდა ბურჟუაზიულ პანთურქისტ-პოეტების გავლენას ეს უკანასკნელნი დაჯგუფებული იყვნენ ჟურნალ „ფეიუზატის" გარშემო ჯავიდი თავის პოეზიაში ქადაგებდა მუშათა კლასისა და პროლეტარული რევოლუციის ინტერესებისათვის უცხო იდეებს. საბჭოთა ხელისუფლების და სოციალისტური მშენებლობის პირობებში კი თანამედროვე აზერბეიჯანის ამ უდიდეს პოეტს არაერთხელ უცდია განთავისუფლებულიყო თითონ მისთვის, როგორც გამოჩენილი პოეტისთვის, მავნე ბურჟუაზიული გავლენისაგან. თანამედროვე თემატიკასთან მიახლოვების ამ ცდებს ვამჩნევთ მის უკანასკნელ პიესებში: „თავადი" და „სეიაუში". მაგრამ ეს მხოლოდ ცდებია, ზოგჯერ ფუჭი ცდაც. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს დიდად ნიჭიერი და არც თუ მოხუცი პოეტი და დრამატურგი შესძლებს მთლიანად განიმსჭვალოს მარქსისტულ - ლენინური მსოფლმხედველობით და გახდეს არა სიმბოლიური შეიხების, არა წინასწარმეტყველების და თამერლანების მეხოტბე, არამედ ახალი ადამიანების, ახალი სამყაროს, ახალი სოციალისტური საზოგადოების მეხოტბე.

თანამედროვე მწერალთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აგრეთვე სანილის უკვე არაახალგაზრდა პოეტს, რომელმაც თავისი შემოქმედება მიუძღვნა გლეხთა ცხოვრების თემატიკას.

აზერბეიჯანის მშრომელ გლეხობას უფლება აქვს მოელოდეს გლეხურ პოეტისაგან, რომ იგი მალე თავს გაანებებს ერთპიროვნული გლეხის ხოტბას და შეაქებს კოლმეურნე გლეხს, რომელიც დიდიხანია გახდა გადამწყვეტ ძალად აზერბეიჯანის სოფლის მეურნეობაში.

დანარჩენი პოეტები, რომლებსაც საქართველო თავის დედაქალაქში შეხვდება, ეს არის ახალგაზრდობა, რომელიც პროლეტარულმა რევოლუციამ და საბჭოთა ხელისუფლებამ უკანასკნელ ათიოდე წელში გამოზარდა. მათ შორის ყველაზე „ძველია" ჯერ კიდევ თითქმის საჟსებით ახალგაზრდა, მაგრამ უკვე მთლიანად ჩამოყალიბებული პოეტი სულეიმან რუსტამი, პროლეტარული ლიტერატურის და პოეზიის ერთერთი პირველი მედროშე აზერბეიჯანში. მის სახელთან დაკავშირებულია მობრუნება წვრილ ბურჟუაზიული პესიმიზმიდან და სასოწარკვეთილებიდან ბრძოლის ხალისისაკენ, მშენებლობის სიხარულისაკენ.

საბჭოთა აზერბეიჯანის დიდი და ნაყოფიერი პოეტია აგრეთვე სამედ ვურგუნი, რომელიც გამოსულია სოფლიდან. იგი, ერთი მხრივ, უმღერის სოფლის სოციალისტურ გარდაქმნას, მეორე მხრივ კი ქალაქის პროლეტარიატის ბრძოლას ახალი სამყაროს გამარჯვებისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

მიქაელ რაფილი ეკუთვნის აზერბეიჯანის ნიჭიერ პოეტთა რიცხვს, რომლებიც უმღერენ მუშათა კლასის და მშრომელთა გმირულ ბრძოლას პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის.

უეჭველად დიდი ნიჭის პატრონია პოეტ მუშვიკი, რომელმაც გამოუშვა თავის ლირიკულ ლექსთა და პოემათა რამოდენიმე კრებული. იგი წარმატებით მუშაობს აგრეთვე როგორც რუსი პოეტების და ფირდოუსის მთარგმნელი.

ფრიად წარმატებით დაიწყეს და განაგრძობენ თავის პოეტურ შემოქმედებას ახალგაზრდა პოეტები: მ. რაგიმი, ჯ. ხანდანი და პოეტი ქალი მ. დილბაზი, რომელიც თავისი პოეტური კალმით იბრძვის ჩაგვრის და ექსპლოატაციის საუკუნოებრივი ხუნდებისგან თურქი ქალის განთავისუფლების ფრონტზე.

საბჭოთა აზერბეიჯანის პოეტების სახით, რომლებიც ტფილისში ჩამოდიან, საქართველოს მშრომელები ხვდებიან ბაქოს პროლეტარიატის და მოძმე რესპუბლიკის გლეხობის რევოლუციური პოეზიის საუკეთესო წარმომადგენლებს, იმ რესპუბლიკის წარმომადგენლებს, რომელიც სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად იბრძვის უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის, მთელს დედამიწაზე მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის იდეების გამარჯვებისათვის.

⁂

P. S.

ამ წერილის ჰონორარი შემაქვს თვითმფრინავ — გიგანტების [illegible] ფონდში.

ა.

ВЛАДИМИР
ЛЕНИН
ИОСИФ
СТАЛИН
МАКСИМ
ГОРЬКИЙ

დავაჩქაროთ თვითმფრინავ—გიგანტების ასაგები თანხების გადარიცხვა

პროფმუშაკები „კომუნისტის" რედაქციაში

თუ რა მდგომარეობაშია თვითმფრინავ - გიგანტების ასაგებ ფონდში თანხების გადარიცხვის საქმე, ამის შესახებ გუშინ „კომუნისტის" რედაქციას მოუთხრეს სხვადასხვა პროფკავშირების ცენტრალურ გამგეობათა და ფაბრიკა - ქარხნების წარმომადგენლებმა.

ამხანაგები ხაზგასმით აღნიშნავდნენ იმ უდიდეს ენტუზიაზმს, რომელიც გამოიწვია მუშებში და საერთოდ მშრომელებში, დაღუპულ ერთ გიგანტ — თვითმფრინავის ნაცვლად შვიდი ასეთი გიგანტის აგების შესახებ მიღებულმა გადაწყვეტილებამ.

ტფილისში და რაიონებში, არ დარჩენილა თითქმის არცერთი მუშა - მოსამსახურე, რომელსაც არ გამოეთქვას თვითმფრინავ — გიგანტების ასაგებ ფონდში თავისი წვლილის შეტანის სურვილი.

საბოლოოდ ჯერ გამორკვეული არ არის, თუ რა თანხით მიიღებს საქართველოს მუშა - მოსამსახურეები მონაწილეობას თვითმფრინავების აგებაში. მიმდინარეობს თანხების ნაწილნაწილად გადარიცხვა.

მაგალითად, ტფილისის სამომხმარებლო ორგანიზაციათა კავშირში შეგროვილია 10.000 მანეთი, ქვანის აგურ - კრამიტის ქარხანაში შეგროვილია 754 მანეთი. ტფილისში, საგზაო მშენებლობის ტრესტში შეგროვილია 3789 მანეთი, რაც უკვე გადარიცხულია ბანკში.

მაგრამ აღსანიშნავია ერთი მომენტი. მთელი რიგი წარმოება-დაწესებულებები შეგროვილ თანხებს არ რიცხავენ ბანკში თავის დროზე, უცდიან სანამ მთელ თანხას არ მოუყრიან თავს. მაგალითად, აგურ-კრამიტის წარმოებებში საშუალოდ შეგროვებულია 15.000 მანეთი და აქედან მხოლოდ 754 მანეთია გადარიცხული, საგზაო მშენებლობის რაიონულ ორგანიზაციებში შეგროვილია 24.000 მანეთი და ეს თანხაც ჯერ გადაურიცხავია. მედმუშაკებს შორის ტფილისში შეგროვილია 25.000 მანეთი და აქედან მხოლოდ 5.000 მანეთია გადარიცხული, სულ კი მედმუშაკებს შორის ხელმოწერილი თანხა 70.000 მანეთს უდრის, არც მკერავტრესტის № 1 ფაბრიკას გადაურიცხავს თანხები.

ცხადია, ასეთი მდგომარეობ ნორმალურად ვერ ჩაითვლება. მუშებს დიდი ხალისით შეაქვთ თანხები და სურთ რაც შეიძლება მოკლე ხანში იქნეს აგებული ჩვენი სიამაყე — გიგანტ - თვითმფრინავები, მაგრამ ცალკე წარმოება-დაწესებულებებისა და პროფესიული ორგანიზაციების მოუქნელი, ბიუროკრატიული დამოკიდებულება აფერხებს ფულის თავის დროზე გადარიცხვას დანიშნულებისამებრ.

ასეთ განწყობილებას ენერგიულად უნდა შევებრძოლოთ, მშრომელების მიერ გიგანტ—თვითმფრინავების ასაგებად გაღებული თანხებიდან არცერთი კაპეიკი არ უნდა რჩებოდეს დაწესებულებებში, არამედ დაუყოვნებლივ უნდა გადაირიცხოს დანიშნულებისამებრ.

თვითმფრინავ—გიგანტების მშენებლობის ფონდში

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებამ დაღუპულ საჰაერო გიგანტის „მაქსიმ გორკის" ნაცვლად სამი ახალი ასეთი გიგანტის აგების შესახებ და შემდეგ მშრომელთა მოთხოვნამ, რომ მათი რიცხვი სამიდან გადიდებულ იქნეს შვიდამდე, უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა საქართველოს მშრომელთა ფართო მასებში. მუშებმა და მოსამსახურეებმა ერთსულოვანი სურვილი გამოსთქვეს საჰაერო გიგანტების ასაგებ ფონდში ერთი დღის ხელფასის შეტანის შესახებ. ეს კამპანია ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

⁂

ტფილისში სახსოცუზრუნველყოფის კომისარიატის პერსონალურ პენსიონერთა კომიტეტმა გადარიცხა 4.000 მანეთი, რკინისგზის ფოსტის მუშა - მოსამსახურეებმა გაიღეს ერთი დღის ხელფასი. ამდენივე სოფწყლოპის არტელ „ავანგარდის" მუშაკებმაც. ტფილისის გარეუბანში მიხა ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა 901 მანეთი და 25 კაპ.

✪ ტფ. საბჭოს ტრესტ „მრეწველების" მუშა - მოსამსახურეებმა გადარიცხეს 1196 მან. 62 კაპ. და სოცშეჯიბრებაში გამოიწვიეს ტფილისის საბჭოს სისტემაში შემავალი ყველა ტრესტები. თანხა უკვე გადარიცხულია დანიშნულებისამებრ.

✪ საამშენებლო მასალათა გამსაღებელ ტრესტის „სოიუზსტრომსბიტის" ა.-კ. კანტორის მუშა-მოსამსახურეებმა შეიტანეს 127 მანეთი.

✪ მე-32 შრომის სკოლასთან არსებულ მე-2 ადგილკომში გაერთიანებულმა მასწავლებლებმა თვითმფრინავ-გიგანტების ასაგებ ფონდში შეიტანეს 104 მანეთი.

✪ ინვალიდთა კოოპერატიულ არტელ „მომარაგებას" წევრებმა შეაგროვეს 100 მანეთი, რაც უკვე შეტანილია ბანკში.

✪ სასტუმრო „ევროპის" მუშა-მოსამსახურეებმა შეაგროვეს და უკვე შეიტანეს ბანკში 151 მან. 58 კაპ.

რაიონებშიაც წარმოებს თანხების შეგროვება. მაგალითად, ონში შეაგროვეს 4109 მანეთი.

საქკომბანკის თანამშრომლებმა უკვე გადარიცხეს 538 მანეთი თვითმფრინავ გიგანტების ფონდში. პედკადრების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის მუშა-მოსამსახურეებმა გამოიტანეს დადგენილება ერთი დღის ხელფასის — 297 მანეთის გადარიცხვის შესახებ. ორჯონიკიძის სახ. რაიფოსტის მუშა-მოსამსახურეებმაც — 400 მანეთი. სტომატოლოგიური ინსტიტუტის თანამშრომლებმა — 430 მან. საქართველოს უმაღლეს საფინანსო სკოლის პედაგოგიური პერსონალისა და სტუდენტთა გაერთიანებულმა კრებამ გამოიტანა დადგენილება ერთი დღის ხელფასის და ერთი დღის სტიპენდიის გადარიცხვის შესახებ. ტფილისში შიო ჩიტაძის ქუჩაზე არსებულ №661 საბინაო ამხანაგობასთან მომქმედ დიასახლისთა თვითდაცვის ჯგუფმა უკვე შემოიტანა 62 მანეთი და მავე მიზნით გამოიწვია სხვა ამხანაგობათა დიასახლისები.

საქ. ა.-ლ.-კ.-კ. შორაპნის რკ. გზის მოძრაობის კომორგმა ამხ. ვალიკო კაველაძემ, გარდა ერთი დღის ხელფასისა, შემოიტანა 10 მანეთი და ამავე მიზნისთვის გამოიწვია შემდეგი ამხანაგები: ალ. ბაქრაძე, ბ. წერეთელი, ევ. გაჩეჩილაძე, აბ. კირვალიძე, ვალ. კერვალიძე, მ. კოზირაძე, ი. ბაბუხადია, ბაგრატ გოშაძე, ს. ბებიაშვილი, ა. სურმაია, ვ. ქამუშაძე, ა. სარჩიმელია, მ. ბებიაშვილი და გ. ბლიაძაშვილი.

მახარაძის რაიონის დამცველთა კოლექტივმა თვითმფრინავ - გიგანტების ასაგებ ფონდში შეიტანა ასი მანეთი.

ხაშურში რაიაღმასკომის მუშა-მოსამსახურეებმა გამოიტანეს დადგენილება ორი დღის ხელფასის გაღების შესახებ, რაც შეადგენს 4 ათას მანეთს.

ამიერ-კავკასიაში

აზერბეიჯანი

წარჩინებული სწავლისათვის — ბავშვთა კავშირში მოგზაურობა

ბაქო, 5 ივნისი. აზნავთის მარქსის სახელობის ელსადგურის სამკუთხედმა, ელსადგურის მუშის ამხ. სიდორენკოს შვილი აქტიური პიონერი პოლია დააჯილდოვა საბჭოთა კავშირში მოგზაურობით. ლენინის სარაიონო № 1 სკოლაში ბორია გამოირჩევა სწავლების დამკვრელთა შორის. სიდორენკოს ბინაზე გაიმართა სკოლის დამკვრელებისა და ელსადგურის პიონერების შეხვედრის საღამო. ელსადგურის პიონერებმა იკისრეს ვალდებულება გამოცდა „კარგზე" და „ფრიადზე" ჩააბარონ. (ადს.)

საზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობა

ხტეპანაკერტი, 5 ივნისი. 15 ივნისს მთიან ყარაბაღში იხსნება პიონერთა გამაჯანსაღებელი დაწესებულებები; შუშაში იხსნება აზერბეიჯანის პიონერთა სანატორიუმი, რომელიც ზაფხულის განმავლობაში გაატარებს 300 ბავშვს. აქვე ეწყობა პიონერთა საზაფხულო ბანაკი მთიანი ყარაბაღის 100 პიონერისათვის. გადრუტის რაიონში, სოფ. დომის მახლობლად ტყეში გაიხსნება პიონერბანაკი კოლმეურნეთა 100 ბავშვისათვის. ბანაკები გაიმართება აგრეთვე მარტუნინის და გორდაკუნის რაიონებში (ადს).

სომხეთი

პალეხის მხატვართა ნამუშევრების გამოფენა

ერევანი, 5 ივნისი. სახვითი ხელოვნების მუზეუმში გაიხსნა პალეხის არტელის მხატვართა ნამუშევრების გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპონატები თან ჩამოიტანეს ამჟამად ერევანში მყოფ პალეხელმა ხელოსნებმა—მაკრიჩევმა, კოტუხინმა და ვაკუროვმა. გამოფენას დიდი წარმატება აქვს. ნამუშევართა მნიშვნელოვანი ნაწილი გაიყიდა პირველ ორ დღეს. მუზეუმმა შეიძინა მხატვარ პირილოვის ნამუშევარი—„ჩაპაევი ზღვრებზე". ამ დღეებში პალეხელი მხატვრები ვამგზავრებიან ეჩმიაძინში, სადაც დაწვრილებით გაეცნობიან ძველის სომხურ მინიატურას (ადს).

ნარაზენმა შეასრულა

ჩაის კრეფის მაისის გეგმა

ზუგდიდი, 4 ივნისი. ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ **31 მაისისათვის 104 პროცენტით შეასრულა მწვანე ფოთლის კრეფის გეგმა** (33.872 კილოგრამის ნაცვლად მოკრეფილია 35.224 კილოგრამი).

მეურნეობის მთელი ძალები გადასროლილია ივნისის გეგმის ვადაზე შესრულებისათვის.

მეურნეობის დირექტორი
აქ. გეგენავა.

ტფილისიდან-პრაგისაკენ

ჩეხო-სლოვაკელი ავტომობილისტები — **ბიგუმილ ტურეკი და ვაცლავ კენიგი**, რომლებმაც გაიარეს 5.090 კილომეტრი და 31 მაისს პრაღიდან ტფილისში ჩამოვიდნენ, უკვე გაემგზავრნენ ჩეხო-სლოვაკიაში.

ტფილისში ყოფნის დროს სტუმრებში დიდი ინტერესი გამოიწვია კავკასიური დათვის ბელმა, რომელიც მოშინაურებული ყავდა ადგილობრივ სასტუმროს გამგეს.

სტუმრებს სურვილი აღეძრათ შეეძინათ დათვის ბელი პრაღის ზოოპარკისათვის, როგორც მათთვის იშვიათი ეგზემპლარი.

საქართველოს „ავტოგზამ" შეიძინა ეს ცხოველი და აჩუქა სტუმრებს.

გულთბილი შეხვედრისათვის და იშვიათი საჩუქრისათვის მადლობის ნიშნად ჩეხოსლოვაკელმა ავტომობილისტებმა გზიდან საქართველოს „ავტოგზის" პრეზიდიუმს შემდეგი წერილი გამოუგზავნეს:

„ვბრუნდებით რა ტფილისიდან სამშობლოში, სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია „ავტოგზას", მის პრეზიდიუმს და ყველა წევრს ჩვენი გულწრფელი მადლობა გამოუცხადოთ გულთბილი შეხვედრისათვის და აგრეთვე ორიგინალური საჩუქრისათვის, რომელიც „ავტოგზამ" გვიძღვნა. ჩვენ არასოდეს არ დაგვავიწყდება ეს საუცხოვო შეხვედრა. იმედი გვაქვს, რომ ახლო მომავალში საშუალება გვექნება ტფილისელ ავტომობილისტებს პრაღაში მივესალმოთ.

საუცხოვო დათუნია მოთავსებული იქნება პრაღის ზოოლოგიურ ბაღში. ჩვენ მადლობას გამოვუთქვამთ პრაღელი მოქალაქეებისა და, განსაკუთრებით, ბავშვების სახელით, რომელნიც ისიამოვნებენ ამიერკავკასიიდან ჩაყვანილი პრაღის ზოოპარკის ამ ახალი მკვიდრის ნახვით.

სალამი თქვენი მშვენიერი ორგანიზაციის ყველა წევრს!

გაუმარჯოს ტფილისის „ავტოგზას"!

ვაცლავ კენიგი.

მოკლიან ციტრუსების უხვ მოსავალს

ბათომი, 5 ივნისი. დაბლობ ნაკვეთებზე გაშენებული ციტრუსოვანი პლანტაციები საუცხოვო მდგომარეობაშია. ქარიშხალს, რომელმაც ამ დღეებში გადაიარა, სრულიადაც არ დაუზიანებია პლანტაციები. ყვავილობა მთავრდება, ხეები დაკუნწლულია გამოსული ნაყოფით. მოსალოდნელია უხვი მოსავალი.

მთის ფერდობებზე გაშენებული პლანტაციების მდგომარეობა რამდენადმე უფრო ცუდია. აქ არ არის საკმაო ტენიანობა. მანდარინისა და ფორთოხლის ხეებზე გამოღებული ხშირი ნაყოფი რომ არ ჩამოცვივდეს, კოლმეურნეები პლანტაციებს ხელით რწყავენ. (ადს).

ბელორუსიის მწერლები

გაემგზავრნენ კახეთში

ბელორუსიის მწერალთა დელეგაცია გუშინ დილით ტფილისიდან თელავში გაემგზავრა. ისინი დაათვალიერებენ აღმოსავლეთ - საქართველოს რაიონებს—სიღნაღის, ალაზნის და შირაქის საბჭ. მეურნეობებს, შირაქის ნავთს და სხვ.

მზადება ახალი სასწავლო წლისათვის

თიანეთის რაიონში

მომავალი სასწავლო წლისათვის თიანეთის რაიონში დამთავრდება სოფ. ტუშურების დაწყებითი სკოლის აგება. ახლად აიგება სამი ახალი სასკოლო შენობა სოფ. ჯიჯეთში, ქვეშეტსა და ლუდელებში. ყველა სკოლის საჭირო ინვენტარით მოსამარაგებლად დამზადდება 115 პარტა და 39 საკლასო დაფა, შეძენილი იქნება 51 ფეჩი და დამზადდება 183 საჟენი შეშა.

ამასთან რაიონი ზრუნავს კანონით გათვალისწინებულ ვადებში მისცეს მასწავლებლებს კუთვნილი ხელფასი და კომუნალური მომსახურებისათვის გათვალისწინებული თანხები.

—o—

გაცემულია 105 ათასი მანეთი მოგება

„მეორე ხუთწლედის" და „ხუთწლედი ოთხ წელში" სესხების მოგებათა ტირაჟების მიღების შემდეგ, ტფილისის შემნახველ სალაროებში განსაკუთრებით გაძლიერდა სესხის მფლობელთა გამოცხადება. სალაროები ვერ აუდიან მოგებათა განაღდებას.

სტალინის რაიონის შემნახველმა სალარომ, რომელიც საუკეთესოა ტფილისში, მეორე ხუთწლედის პირველი და მეორე წლის გამოშვების სესხების მე-7, 1 და მე-2 ტირაჟებით უკანასკნელ დღეებში გაანაღდა 105 ათასი მანეთი მოგება.

4 ივნისიდან დაიწყო „ხუთწლედი ოთხ წელში" სესხის მე-18 ტირაჟის მოგებათა განაღდება. მხოლოდ ერთ დღეს სალარომ გაანაღდა 5 ათასი მანეთი მოგება.

კულტურისა და დასვენების პარკი



ტფილისის კულტურისა და დასვენების პარკში (ორჯონიკიძის სახ. ყოფილი ბაღი). მთავრდება უკანასკნელი სამუშაოები საზაფხულო სეზონის გახსნის წინ.
სურათზე: საბავშვო რკინისგზის ახლად აგებული სადგურის გარე ფასადი.

ალაზანჰესის ელდენი

სიღნაღის რაიონს

სიღნაღის რაიონში მუშაობს ა.-კ. სოფლის მეურნეობის ეკონომიკის ინსტიტუტის ბრიგადა, რომელიც გეგმავს და ადგენს რაიონის სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის ტექნიკურ - ეკონომიურ პროექტს. აღნიშნული პროექტის შედგენა - დამუშავება უნდა დამთავრდეს I ივლისისათვის და წარედგინოს საქ. სახკომსაბჭოს დასამტკიცებლად.

პროექტის შედგენის შემდეგ, სულ მოკლე ხანში სიღნაღი და მისი რაიონის ყველა სოფლები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ალაზანჰესიდან მიიღებენ ელექტროენერგიას (საქ. კორ.).

ტფილისის ოპერის გასტროლები ქუთაისში

ქუთაისი, 4 ივნისი (საქ. კორ.) 5 ივნისს წითელი არმიის სახლის თეატრში იწყება ტფილისის სახელმწიფო ოპერის თეატრის გასტროლები. საგასტროლო რეპერტუარში შეტანილია ოპერები: „დაისი", „აბესალომ და ეთერი", „ქეთო და კოტე", „სევილიელი დალაქი", „რიგოლეტო", „სამსონ და დალილა". წარმოდგენები გასტანს 13 ივნისამდე. შემოღებულია აბონემენტები 30 პროც. ფასდაკლებით მუშა-მოსამსახურეებზე.

—o—

ერთი ვაგონი ცემენტის მოპარვა

ა.-წ. აპრილში სტალინის რაიონის საბინაო კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ პანიევმა ამავე რაიონის ბინათკავშირის თავმჯდომარეს გულვერდაშვილს გააცნო თავისი ნათესავი, ა.-კ. საგზაო საინჟინერო ინსტიტუტის სტუდენტი მიხეილ უნანოვი, როგორც ისეთი კაცი, რომელსაც რაღაც საშუალებით შეუძლია უშოვოს რაიონის საბინაო კავშირს დეფიციტური მასალები. გულვერდაშვილთან მისვლისთანავე უნანოვმა აჩვენა, როგორც უნარიანმა „საქმოსანმა" და წინადადება მისცა საქმის დასაწყისისათვის შეეძინა ერთი ვაგონი ცემენტი სპეკულატიურ ფასებში.

ბინათკავშირის თავმჯდომარემ თუმცა კარგად იცოდა, რომ ცემენტი წარმოადგენს ისეთ მასალას, რომლის გაცემა მხოლოდ სახელმწიფო განრიგებით ხდება, მაგრამ მაინც უყოყმანოდ დასთანხმდა უნანოვის საქმეს წინადადებას.

ცემენტის მისაღებად უნანოვი გაემგზავრა თავის მახლობელ მეგობართან, ნეტახტარმშენის ბაზის გამგე გერონტი ჩხეიძესთან (ისიც ა.-კ. საგზაო საინჟინერო ინსტიტუტის სტუდენტია), რომელმაც ყოველგვარი საბუთების გარეშე გასცა ბაზიდან 900 ფუთი ცემენტი, რაც ამ კომბინაციის მონაწილე კონსტანტინე გონაძის (ა.-კ. საინჟ. ინსტ. სტუდენტი), და სამხატვრო კომბინატის მინდობილობათა აგენტის სერგო მამიკონოვის აქტიური დახმარებით მოიტანეს რაიბინკავშირში. აქ გულვერდაშვილის და პანიევის თანადასწრებით შეადგინეს ყალბი ანგარიშები არარსებულ არტელ „წითელი შრომის" სახელით, რომლებზედაც გულვერდაშვილმა დაადო მოკლე რეზოლუცია: „აუნაზღაურდეს". ამგვარად, რაიბინკავშირის თავმჯდომარემ გულვერდაშვილმა და მისმა მოადგილემ პანიევმა გადასცეს 3600 მანეთი ნაღდი ფული სოციალისტური საკუთრების მტაცებლებს მოპარული ცემენტისათვის.

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ჩხეიძე, უნანოვი, გონაძე და მამიკონოვი, რომლებსაც წაყენებული აქვთ ბრალდება 7 აგვისტოს კანონით.

სისხლის სამართლის მილიციის გამომძიებელი ამხ. ლეონტიევი ამთავრებს ამ საქმის გამოძიებას და უახლოეს დროში „საქმოსნები" წარსდგებიან სასამართლოს წინაშე.

მოპარული ცემენტის აშკარა სპეკულატიურ ფასებში უკანონოდ შესყიდვისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული არიან რაიბინკავშირის თავმჯდომარე გულვერდაშვილი და მისი მოადგილე პანიევი.

ზუგდიდი—ჯვარის გზა

ფართოდ გაიშალა მუშაობა ზუგდიდ-ჯვარის გზატკეცილზე. საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის დადგენილებამ ამ გზის განახლების შესახებ ზუგდიდის რაიონის მშრომელები ფართოდ გამოეხმაურნენ. სამუშაოს დაწყებისთანავე სოფ. კახათის კოლმეურნეობამ გამოგზავნა 25 წყვილი მუშა-საქონელი და გამოიწვია სოფ. ოქტომბრის კოლმეურნეობა. გამოწვევის საპასუხოდ ოქტომბერმა გამოგზავნა 17 უღელი მუშა-საქონელი. შემდეგ კოლმეურნეობებმა ერთმანეთი გამოიწვიეს შრომა-დღეების გამომუშავებაში. კახათის კოლმეურნეობამ გეგმით გათვალისწინებულ 150 დღის მაგიერ გამოიმუშავა 193 დღე, ოქტომბრის კოლმეურნეობამ 107 დღის მაგიერ 155 დღე და ამავე დროს გამოზიდა საშენი მასალა. გამარჯვება ხვდა ოქტომბრის კოლმეურნეობას და ის დააჯილდოვეს 1000 მანეთით.

გზის მშენებლობაში ასევე აქტიურად ჩაებნენ ტყაიას და ბეჟასკალის კოლმეურნეობები და ერთპიროვნული მშრომელი გლეხები. მუშა-ხელი მთლიანად გამოდიოდა გზის შეკეთებაზე. ბეჟასკალიდან გამოვიდა 70 წლის მოხუცი ჩავუ მაჩია, რომელმაც კეთილსინდისიერი მუშაობით თავი ისახელა.

ჯვარის გზაზე მომუშავე ბრიგადებში იწვევენ კინოსეანსებს, მუშები ღებულობენ 200 ცალ სხვადასხვა გაზეთს. დასვენების საათებში წარმოებს ხმა-მაღალი კითხვა. 27 მაისს რაიონის ხელმძღვანელებმა მოაწყეს დიდი შაბათობა. გზის აღდგენა დამთავრდება უახლოეს დღეებში. (საქ. კორ.)



ხატკეპნი მანქანა ჯვარი—ზუგდიდის გზატკეცილზე.

30 წლის წინათ (1905)

6 ივნისი

★ **ივანოვო - ვოზნესენსკის** მუშათა დეპუტატების საბჭომ დაადგინა შინაგან საქმეთა მინისტრს წარუდგინოს მოთხოვნა „სახალხო წარმომადგენლების მოწვევის და თავისუფლების შემოღების შესახებ".

★ **მოსკოვში** მიმდინარეობს საერობო ყრილობა ქალაქების და თავადაზნაურობის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

★ **მოსკოვში**, კავშირთა კავშირის მეორე სადელეგატო ყრილობამ ხალხს მიმართა მოწოდებით.

★ **გროზნოში** დაიწყო ნავთის საბრეწაოთა მუშების გაფიცვები.

★ **ვაშინგტონსა** და პარიზში რუსეთის ელჩებს გაეგზავნა დეპეშა, რომ რუსეთს სურს გაიგოს იაპონიასთან ზავის პირობები.

★ **პეტერბურგში**, მინისტრთა საბჭომ განიხილა ბულიგინის პროექტი საერობო კრების შესახებ.

★ **მინსკში** გაიფიცნენ ტყავის ქარხნის მუშები.

★ **ერევანსა** და ნახიჩევანში სომხებსა და თათრებს შორის ადგილი ჰქონდა დიდ შეტაკებებს.

★ **სოხუმში** გაიფიცნენ მუშები.

★ **სოხუმში** რევოლუციონერ ხალხსა და ჯარს შორის მოხდა შეტაკება. რამოდენიმე კაცი დაიჭრა.

—o—

სათაფლიას გვირაბი

ქუთაისი, 5 ივნისი. (საქ. კორ.) წელს მოსალოდნელია მრავალი ტურისტის ჩამოსვლა სათაფლიას სტალაქტიტურ და სტალაგმიტურ გვირაბის სანახავად. ბუნებრივი ძეგლების დაცვის კანტორამ მიიღო დიდძალი წერილი რუსეთიდან, რომლებშიაც ტურისტები ითხოვენ პირობების შეტყობინებას, თუ როგორ **შეიძლება სათაფლიას გვირაბის ნახვა.**

—o—

შემთხვევები

● **გაუფრთხილებელი სვლა.** გუშინ, დილის 7 საათზე, პლეხანოვის პროსპექტზე, საბარგო ავტომანქანა № 9—36, დაეჯახა მოქ. რ. ი. მახტიაროვს და მძიმედ დაშავა. დაშავებული საავადმყოფოში მოათავსეს. შოფერი მიიმალა. მის დასაპატიმრებლად მიღებულია ზომები.

● **ხულიგნობა.** პუშკინის ქუჩაზე № 9, სოიუზტრანსის სასადილოში ჩხუბისათვის შეიპყრეს აბელ ვასილის-ძე არჩუა (ლერმონტოვის ქ. № 6), ალ. მიხეილიძე სხირტლაძე (ზაიაზეთის ქ. № 3) და პავლე სოლოვანის-ძე კალანდაძე (პროსის ქ. № 1). ხულიგნები გადაეცემიან სასამართლოს.

—o—

კრებები და მოხსენებები

— **ტფ. სახ. უნივერსიტეტში** (აუდიტორია № 88), 7 ივნისს საღამოს 7 საათზე დანიშნულია ბიოლოგიური ფაკულტეტის საჯარო კრება. დღის წესრიგი ამხ. კ. ანდრიაძის მოხსენება — **„მაღალხარისხოვანი სახელმძღვანელოებისათვის ბიოლოგიურ დისციპლინებში".** შესვლა თავისუფალია.

—o—

პარტკალენდარი

— **ლენრაიკომის პარტკაბინეტი** იცნობებს, რომ 7 ივნისს, საღამოს 8 საათზე, პლეხანოვის სახ. კლუბში შედგება ამხ. **ეფიმოვის** მოხსენება ლენრაიონის და რკინისგზის კვანძის პარტკომკავშირის აქტივისათვის, თემაზე: **„ლენინ-სტალინის მოძღვრება სოციალიზმის ერთ ქვეყანაში გამარჯვების შესახებ".**

მარჯანიშვილის თეატრი		
6 ივნისს	აბ. გარეშე	წარ № 170 ვერაგობა და სიყვარული
7 ივნისს	აბ № 7, 8 წარ.	წარ № 171 ვერაგობა და სიყვარული

დასაწყისი სალ. 8-ნახ. საათზე. სალარო ღიაა 11—2 6—9 ს.

ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-30	უკანასკნელი დღე ხმოვ. სურ.—გ ლ ე ხ ე ბ ი
დამკვრელი (საზაფხ. საზამთრო) 6, 7-30, 9, 10-30	უკანასკნელი დღე ბ ე დ ნ ი ე რ ი ფ ი ნ ი შ ი 7 ივნისიდან—ძალად წყალჯომარდი
ტ ე მ პ ი (საზამთ.) 7, 8-45, 10-30	მხატვრული ფილმი—ნ ა მ უ ს ი
ტემპი (საზაფხ. ხმოვანი) 8-45, 10-45	დადგმის მესამე კვირა ხმოვანი კომედია ც ხ ა რ ე დ ღ ე ე ბ ი
რ. ლიუქსემბურგის სახ. 6-30, 8-30, 10-30	ხმ ფილმი უკანასკნელი მასკარადი ავტორ-რეჟისორი მ. ჭიაურელი.
ე თ ე რ ი (საზაფხ.) 8-45, 10-30	მხატვრული ფილმი—ფუნთუშა გიუ-დე მოპასანის მოთხრობის მიხედვით
„26"-ის კომ. სახ. 6-30, 8-30, 10-30	საზაფხ განწირულნი—1-ლი სერია საზამთ ხმოვანი—სიყვარული და სიძულვილი
კომინტერნი საზაფხ. (დიდუბეში). 8-30, 10-30.	2 სერია გ ა ნ წ ი რ უ ლ ნ ი ვ. ჰიუგოს მოტივები.

სასამართლოს აღმასრულებელი ვ. ნ ე რ ზ ა ძ ე
ამით აცხადებს, რომ 1935 წ. 10 ივნისს დღის 12 საათზე, ქ. ტფილისი, ციციანოვის ქუჩაზე 27 №-ის სახლში

საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის

მოქ. თამარა ნასიძის კონებას—6 ოთახიანი სახლი [illegible] შეფასებულია 6.730 მან. და გაიყიდება ალექსი [illegible] პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ორჯ. რაიონის სასამართლოსაგან 1935 წ. 9 აპრილის № 2/1173-ით გაცემული აღმასრულებელი ფურცლისა. 8479

გაზ. „კომუნისტის" გამომცემლობის
სტამბა
ღებულობს მოწაფეებს
ორივე სქესისას 18 წლიდან ზევით.
პირობების გაგება შეიძლება სტამბის ადმინისტრაციასთან,
კამოს ქ. № 68.

ტფილ. ტელეფონის ქსელის აბონენტთა საყურადღებოდ

ტელეფონით სარგებლობის ახალი კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული წესების თანახმად, აბონენტები რომელნიც დაწესებული ვადის შემდეგ 5 თვის განმავლობაში არ შეიტანენ ტელეფონის ქირას, გამოერთვებიან სატელეფონო ქსელიდან, ხოლო ახალ სახდელი თვის 1 რიცხვიდან მათ მოეხსნებათ აპარატი.

მოხსნილი აპარატების ხელახლა დადგმა ხდება დავალიანების სავსებით დაფარვისა და აპარატის ხელახლა დადგმისთვის ქირის შეტანის შემდეგ ტარიფის მიხედვით.

სააბონენტო ქირა შეტანილ უნდა იქნას წინდაწინ სახდელ პერიოდის 7 რიცხვამდე ისე, რომ აბონენტს არ დასჭირდეს განსაკუთრებული გახსენება, და ქირაგადაუხდელ ტელეფონების გამორთვა იწარმოებს გაუფრთხილებლად ყოველი თვის 13 რიცხვში და არა 22 ში, როგორც აქამდის იყო შემოღებული.

ქირა შეტანილ უნდა იქნას ტელეფონის ქსელის სალაროში ან გადაირიცხოს ტელეფონის ქსელის საანგარიშსწორებო ანგარიშზე № 147—31 სახელმწიფო ბანკის ქალაქის განყოფილებაში.

ნ. 186 ტელეფონის ქსელის დირექტორი **ქავთარაძე.**

ტფილისის უცხო ენათა კურსები
ა ც ხ ა დ ე ბ ს
გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ სექტორებზე
სექტემბრის ნაკადის სტუდენტების მიღებას.
დაწვრილებით პირობების გაგება შეიძლება კურსებზე საღამოს 6 საათიდან 9 საათამდე.
მისამართი: ბარნოვის ქუჩა (ყოფ. გუდოვიჩის) № 10. 8481

გამოცდილი
ბუღალტერი
ასწავლის უცოდინართ
მოკლე ხანში
ქართულ და რუსულ
ლამაზ წერას,
არითმეტიკას,
მოლარეობას,
მოანგარიშეობას
და ბუხჰალტერიას.
ალავერდის (ყოფ.
აბას-აბადის) მოედანი, ახოსპირელის 1 ჩიხი № 6.
მიღება საღ. 6—8 საათ.
9384

ე ქ ი მ ი
ი. ჭეიშვილი
სიფილისი ვენერიული და კანის დაავად. იღებს დილის 8—9 საათზე, და საღამოს $6^1/_2$—$8^1/_2$ საათ
მიხაძირთ კამოს ქუჩა № 72 (ალექსანდროვის საავადმყ. პიროდაპირ)

ე ქ ი მ ი
ლ. ქ. ფადლავა
შარდ-სასქ. ორგ. სიფილისის და ვენერიული სნეულ.
იღ. საღამოს 6-ნახ. ს. 8 საათამდე.
ლ. ცეტკინის ქ. № 148 (ა.-კ. რკ. გზის სამმართველოს ახლოს) 637

მშობლები: მოსე, თამარი, დედა პიპილო იუწყებიან, რომ 9 ივნისს 4 ს. ქ. მახარაძეში მოიდანახის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ შვილის და ძმის
ერნიკოს და ბორის ნინიძეების
ხსოვნის აღსანიშნავად. 8473

დამწუხრებული მშობლები: მერაბი, მაშო, შვილი ციალიკო, ძმა ექ. გრიშა, დები: მანია, და ექ. ქსენია იუწყებიან, რომ 6 ივნისს 4 ს. ქ. სამტრედიაში დანიშნულია დაუვიწყარ
ანიკო წურწუმიას
სამოქალაქო პანაშვიდი. 8471

კავშირგაბმულობის მე-12 განყოფილების მომუშავეები მწუხარებით იუწყებიან ლენრაიონის კავშირგაბმულობის უფროსის ამხ. კოწია წივწივაძის შვილის
პატარა ა ნ ზ ო რ ი ს
უდროოდ გარდაცვალებას. 8483

კ.-გ. ლენრაიგანყოფილების მომუშავენი იუწყებიან ამავე განყოფილების გამგის კოწია ლევანის-ძე წივწივაძის შვილის
პატარა ა ნ ზ ო რ ი ს
უდროოდ გარდაცვალებას დაკრძალვა 6 ივნისს კუკიის სასაფლაოზე. 8470

დამწუხრებული რძალი ბაბილინა ურუშაძე შვილებით: იაგორი, ივანე, პეტრე, ნატალია და მიხეილი, რძლები: ოლღა და ლუბა შვილებით იუწყებიან ძვირფასს
ელიშუხ ურუშაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. მახარაძეში 8 ივნისს. 8480

დამწუხრებული შვილები: კოწია, სანდრო, შალვა, სიმა, ნინო, მარუსია, ქსენია, რძლები: ლიზიკო, მარო, სიძე იოსებ გოგოძე იუწყებიან საყვარელ მამის
ელიშუხ ესებ-ძე ურუშაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა მახარაძეში 8 ივნისს 4 ს. 7472

ც. ხარატიშვილი, ნ. ბედიაშვილი, გ. ლოლუაძე, თ. გველესიანი, ი. მაჭავარიანი, ვ. აბმეტელი, მ. თავაძე, ლ. ხომერიკი, გ. კვირიკაძე აუწყებენ საზოგადოებას
შალვა შარაშიძის (თაგუნა)
ხსოვნის აღსანიშნავ სამოქალაქო პანაშვიდს 6 ივნისს 7 ს. ვერის სასაფლაოზე. 8478

მშობლები ტატიანა და კოწია წივწივაძეები, ბაბუა ლევანი, ბებია ეფროსინე, მამიდები: ანეტა, ნინო, ბიძა პლატონ ლომაშვილი იუწყებიან დაუვიწყარ
პატარა ა ნ ზ ო რ ი ს
გარდაცვალებას. გამოსვენება გოგოლის ქ. № 68 6 ივნისს 5 ს. კუკიის სასაფლაოზე. 8468

დამწუხრებული: ქმარი ხარიტონ კოპლატაძე, მამა იაკოფ ვანიშვილი, დები, ელენე, სონია, ვარვარა ქმრიშვილით იუწყებიან რომ 6 ივნისს 6 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ
ნინა ვანიშვილი—კოპლატაძის
ხსოვნის აღსანიშნავად. 8475

უახლოესი მეგობრები: გ. არუთინოვა, ლ. ბენაშვილი, ვ. პაპელაშვილი, ვ. ჭყონია, მ. ზაქარეიშვილი, ნ. სახელაშვილი, ც. კაზიაშვილი, ოთ. ნემსაძე მწუხარებით იუწყებიან ბებეს მამის
დავით გრიგ.-ძე ქართველიშვილის
გარდაცვალებას. 8476

დამწუხრებული ბებია ანნა, ბაბუა გრიშა, ივდითი გორდილაძეები თავისი შვილებით იუწყებიან, რომ 9 ივნისს 6 ს. მახარაძეში მოიდანახის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ
ერნიკო ნინიძის
ხსოვნის აღსანიშნავად. 8477

დამწუხრებული მეუღლე მარიამი შვილები ბაბე, თინა, ზეინაბი და ოთარი ქართველიშვილები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს დაუვიწყარ
დათა გრიგ.-ძე ქართველიშვილის
უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება სახ-ქოს ქ. № 109. 7 ივნისს 6 ს. სამოქ. პანაშვიდი ყოველდღე 7 ს. 8474

„ტფილსოფმრეწვის" ლიმონათის ქარხნის მუშა-მოსამსახურეები და მთელი ქარხნის კოლექტივი მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე ქარხნის კონსულტანტის მიტროფანე და ლაბორანტ მიხეილ ლოლიძეების დედის
გულჩინის
გარდაცვალების გამო. 8482

მისამართები: რედაქციის რუსთაველის პროსპექტი № 14, გამომცემლობის რუსთაველის პროსპ. №84. ტელეფონები რედაქტორის 3—62—26, რედაქტორის მოადგილის 3—63—03, პასუხისმგებელი მდივნის 3—08—67, სამდივნოს 3—06—88, მასობრივი განყოფილების 3—73—24, პარტმშენებლობის განყოფილების 3—57—81, ხარისხ. განყოფილების—3—73—40, სტამბის 3—27—04, გამომცემლობის—3—51—81. ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს.

სტამბა „კომუნისტი" კამოს ქ. № 68 მთავლიტი რწმუნებული ბ. 8404